140/2
1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

1
1987

ISSN 0132 — 5973




ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ი ვ ი   ძ ნ ე ლ ა ძ ე

მე აქ არ ვიტყვი ჩიჩილაკის სახოტბო სიტყვას,
არც — ფიფქი როგორ მოეფრქვევა ქარბუქში სარკმელს,
საალტაცებო ვერ მოვნახო ეგება რითმაც, —
მე ცოტა უფრო ფართოდ მინდა მივუდგე საქმეს:

— მსოფლიო! — ზღვები, მიწა, ზეცა, ქარხნები, ხალხი,
ზამთარ-ზაფხული, — ფერი თეთრი და მწვანე ფერიც, —
ნდომით ერთით და ლტოლვით ერთით სუნთქავენ ახლა,
ახალი წლისგან ყველა ახალ სიკეთეს ელის!..

— ახალო წელო! — რას გვეტყვი ახალს,
მანუგეშებელს და გულგასახარს!?

ადამიანებს აძლევს სიტყვას ახალი წელი:
— რა გიპასუხონ, — იციანო მათ ჩემზე კარგად!..

აგრგვინდა მათი ხმა უვრცესი,
მაღალი, წრფელი!
და ჩემთან ერთად
კაცთა პასუხს
თქვენც ისმენთ, ალბათ!..

— სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ერებს
ძმობა, ერთობა გვინდა,
აწ და მარადის ზღვასა და ხმელეთს
ცა დაჰყურებდეს მშვიდად!

გვინდა ბარაქა დახვავებული,
ბრწყინვა მაღალი აზრის,
გულგამთბარი და გახარებული —
კაცს ეხვეოდეს კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




18497

ვის რა ხელი აქვს ადამიანთან,
ვის რა ხელი აქვს გულთან,
გული თავის დღით ვიდრე დადგება —
მანამდე ძგერდეს უნდა!

ლაჟვარდი — ზეცას, მშვიდობა — ხმელეთს,
აი, ოცნება წმინდა!
სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ერებს
ძმობა, ერთობა გვინდა!..

ეს არის ძალა, რომელიც მუდამ
ძლიერი იყო ყოვლად,
ეს არის ძალა, რომელსაც უნდა
გაფრთხილება და მოვლა!

დედამიწაზე ხან მთვარის იყოს,
ხანაც მზის იყოს ფერი,
კვლავაც ბევრ გულში აანთებს სითბოს
ეს ბედნიერი წელი!

ციდან ქათქათა ფანტელები
აცვივა მიწას,
ფართქალ-ფართქალით,
ერთიანად, გუნდ-გუნდად, წყვილად...
წელი ახალი ფეხზე დგება,
სიცოცხლეს იწყებს
და...
ოჯახებში
სიხარული
ღუღუნებს
ტკბილად!..

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი.

# პიონერი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა 1 იანვარი 1987



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად

ტრაქტორის მართვას ბევრი ქისტაურელი გოგონა ეუფლება.

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

თ. ცაგარელის ფოტო

# კომკავშირო, მოდის საიმედო ცვლა!

ირგვლივ მთები მოჯარულან, ღრუბლებით დამძიმებული თოვლიანი მთები.

რა ძალიან გვინდოდა მთა-თუშეთში წასვლა, ომალოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებთან შეხვედრა! გავიგეთ, შარშან ზაფხულში უყოჩაღიათ. ბეჯითი სწავლის შემდეგ არდადეგები ხალისიან შრომასა და დასვენებაში გაატარეს, უფროსებს მხარში ამოუდგნენ, თიბვაში ეხმარებოდნენ, პირუტყვს ზამთრისათვის საკვები დაუმზადეს. ცხვარსა და საქონელს მწყემსავდნენ, საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობას თავიანთ შრომით ნობათს უმზადებდნენ.

— ახლა მთა-თუშეთის გზებზე თოვლია, მანქანა ვერ გააღწევს, ნისლის გამო ვერც ვერტმფრენით შეძლებთ მისვლას, — გვითხრა ახმეტის კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა მერაბ სამუკაშვილმა.

მეტი რა ჩარა იყო, ისევ ბარში მცხოვრებ პიონერ-მოსწავლეთა შრომა-საქმიანობაში უნდა ჩაგვეხედა, გვაინტერესებდა, რით ხვდებოდნენ კომკავშირის მომავალ ყრილობას, კიდევ რა ჰქონდათ მიზნად დასახული.

გვესაუბრება კომკავშირის ახმეტის რაიკომის მდივანი ლია ცოცხალაშვილი:

— შარშან ზაფხულში ჩვენთან 16 შრომა-დასვენების ბანაკი შეიქმნა, მათში გაერთიანებული იყო 24 საშუალო და რვაწლიანი სკოლის 2 ათასამდე პიონერ-მოსწავლე. არდადეგები დაიწყო თუ არა, სად არ ნახავდით მათ — ახმეტის, მატანის, ქისტაურის, ზემო ხოდაშენის, ოჟიოს, დუისის, მაღრაანის მევენახეობის, ახმეტის სანერგე და ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებში, მთა-თუშეთის შორეულ სოფლებში, მთის იალაღებზე. ყმაწვილების გამრჯე ხელებით კეთდებოდა ვაზის მწვანე ოპერაციები: ფურჩვნა, შეყელვა, ცის გახსნა, ითოხნებოდა ვაზის ძირები, სიმინდისა და ლობიოს ნათესები, უვლიდნენ აბრეშუმის ჭიას; როცა ყურძენი და ხილი დამწიფდა, შრომითი დესანტები გაჩნდა ზვრებსა და ხეხილის ბაღებში, მოიკრიფა ასობით ტონა ნაყოფი. აი, ჩაიწერეთ ციფრებიც: ახმეტის რაიონის პიონერ-მოსწავლეებმა გამოიმუშავეს 56 ათას 300 მანეთი, ჩერნობილის დახმარების ფონდში 3 ათას მანეთამდე გადარიცხეს, გამომუშავებული თანხის ნაწილი შემატეს „პიონერმშენისა" და ხუთწლედის ფონდებს. არ შეიძლება, არ შევაქოთ აწყურის, ქვემო ალვანის საშუალო, ზემო ალვანის რვაწლიანი, ახმეტის პირველი, მატანის, დუისის, ქისტაურის და კიდევ ბევრი სკოლის პიონერ-მოსწავლეთა შრომითი რაზმები. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მათ დარგეს 5 ათასი ძირი კაკლის ხე. მარტო წლეულს გზისპირებსა და ქარსაფარ ზოლებს 1500 ძირი კაკლის ნერგი შეემატა. ბავშვები მათ თვითონვე უვლიან და პატრონობენ. საინტერესოა ისიც, რომ ოჟიოს, ქვემო ალვანისა და ქისტაურის სკოლების ნორჩ ნატურალისტებს სასწავლო ნაკვეთებში მოწყობილი აქვთ სანერგეები, გამოჰყავთ კაკლის, თუთის, ალუბლის ნერგები, რითაც ხელს უმართავენ სხვა სკოლებს. ყმაწვილებმა მოაგროვეს დიდძალი ჯართი და მაკულატურა, კრეფენ ასკილს.

კომკავშირის რაიკომში ერთი სასიხარულო ამბავიც გავიგეთ. ნოემბერში მოსკოვში ჩატარდა უმცროსი ასაკის ჭაბუკთა საკავშირო ზონალური პირველობა ჭიდაობა სამბოში გაზეთ „პიონერსკაია პრავდას" პრიზზე. შეჯიბრებაში ახმეტის რაიონის

გუნდიც მონაწილეობდა. ფინალში გუნდმა მე-4 ადგილი დაიკავა. დიდ წარმატებას მიაღწია სათიანოს 8-წლიანი სკოლის მე-7 კლასელმა რომან უძილაურმა. მას მოსკოვში ექვსი შეხვედრა ჰქონდა და ყველა მოიგო. პრიზიც დაიმსახურა საუკეთესო შეხვედრისათვის. ასპარეზობაზე თავი ისახელეს ზურაბ სამუკაშვილმა, ზურაბ ომარაშვილმა, კახი ღუზარაულმა და სხვებმა.

ახმეტაში რომ სპორტული კომპლექსი შენდება, სულ მალე გაიხსნება. კომკავშირის ყრილობის დღეებში აქ ფართო სპორტული ღონისძიებები ჩატარდება, თავიანთ ღონეს კვლავაც გამოსცდიან ახმეტელი ნორჩი მოჭიდავეები.

●

შუადღე რახანია გადავიდა. გვეგონა, ახმეტის პირველ საშუალო სკოლაში არავინ დაგვხვდებოდა. მოვტყუვდით. პიონერთა ოთახში გრძელ მაგიდას პიონერები შემოსხდომოდნენ და ვეტერან კომკავშირელს ქეთევან ნარუსლიშვილს სულგანაბულნი უსმენდნენ.

ქალბატონი ქეთევანი პიონერთა დიდი მეგობარია, ყმაწვილები ხშირად იწვევენ სკოლაში, ხვდებიან სხვებსაც, იწერენ მოგონებებს. ასე აქვთ შედგენილი ახმეტის რაიონის პიონერული და კომკავშირული მოძრაობის მატიანე, ჩაიწერეს ვეტერან კომუნისტთა ბიოგრაფიები, მოაგროვეს მათი ფოტოსურათები და გააკეთეს ალბომები.

რაიონის შრომისმოყვარე ყმაწვილებს არც პირველი სკოლის პიონერები ჩამორჩნენ. 125-მა პიონერმა მიაშურა ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას.

— დღეში სულ ორიოდე საათს ვმუშაობდით, — გვიყვებიან მეორე რაზმის პიონერები მარიკა თაბერიძე და ფატიმა ბიქარიშვილი, — ბევრმა ხეირიანად არც ვიცოდით ფურჩვნა, მაგრამ მალე გავიწაფეთ, ვენახსაც ვთოხნიდით, რთველში 86 ტონა ყურძენი მოვკრიფეთ. 1738 მანეთი გამოვიმუშავეთ. ამას ახლა ნორჩ მეაბრეშუმეთა ნაღვაწიც დაუმატეთ — მიმღებ პუნქტს 2006 მანეთის ხარისხიანი პარკი ჩავაბარეთ. ჩერნობილის დახმარების ფონდში 120 მანეთი გადავრიცხეთ.

●

გზადაგზა იმდენი რამ გავიგეთ ქვემო ალვანის საშუალო სკოლის პიონერებზე, რომ იქ მისვლა თითქოს აღარც იყო საჭირო. მაგალითად, ამ სკოლის 50 პიონერ-მოსწავლე ზაფხულში მწყემსებად წასულა ცხვარში. განა არ დავიჯერეთ? მაგრამ ნათქვამია, ქებას ნახვა ჯობიაო.

ამ სკოლაში 600-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. პირველ რიგში ნორჩი მწყემსები გავიცანით: გოგიტა ჩიტოიძე, ზვიად ოთიურიძე, ზურაბ ქოთილაიძე, სოსო ალდამიძე, ძმები პაატა და ბიძინა ინაურიძეები, ემზარ იჭირაული... ისინი ცხვარს მწყემსავდნენ სახარის, ლოჭყის, კოკლათის, ოსლისა და ქვათამთის იალაღებზე.

ორი წელია, რაც ქვემო ალვანის სკოლაში მინიმეურნეობა შეიქმნა. ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობამ მინიმეურნეობას 9 ჰექტარი ვენახი და 5 ჰექტარი ხეხილის ბაღი გამოუყო მოსავლელად. ბავშვები, რაც საჭირო იყო, ყველა სამუშაოს ასრულებდნენ. ამბობენ, წიწილებს შემოდგომით ითვლიანო. მოკრიფეს 125 ტონა ყურძენი, ათობით ტონა ვაშლი, თავიანთი საქმე რომ მოითავეს, მოსავლის აღებაში მაღრაანისა და ოჟიოს მეურნეობათა მევენახეებს დაეხმარნენ. გამოიმუშავეს 2300 მანეთი და აქედან 300 მანეთი ჩერნობილის ფონდში გადარიცხეს, ხოლო 130 მანეთი — მშვიდობის ფონდში.

გავეცანით პიონერთა დრამატული წრის რეპერტუარს. აი, ისიც: „კვიცი გვარზე ხტის“, „ნაირა და ზაირა“, „ჩიჩიკოვი“, „კბილის ექიმთან“, „თორმეტი თვე“, „ეკიპაჟი კისკისა“ და სხვ.



ცხვარი საძოვარზეა. ალვანელი ნორჩი მწყემსები შორიახლო ადევნებენ თვალს, თანაც ტკბილად საუბრობენ.



მატყლის ჩეჩვა, ბაწრის დართვა, ჭრელ-ჭრელი წინდების ქსოვა კარგად ეხერხებათ დუისელ პიონერებს.




თითქმის ყოველდღე ფუსფუსებენ საკოლო ნაკვეთში ქისტაურელი მოსწავლეები.

წრემ ზაფხულში მეურნეობის მუშაკებს რამდენიმე დადგმა უჩვენა. უფროსების მოწონება დაიმსახურეს ნორჩმა მსახიობებმა: დავით იჭირაულმა, ნინო სუტურიძემ, ია ბუჩაიძემ, ეკა იჩუკაიძემ, სოფიო გოჩილაიძემ, ეკა უთურგაიძემ...

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეროვნების ბავშვებთან მეგობრული მიმოწერა აქვთ ინტერნაციონალური კლუბის წევრებს. ქვემოალვანელებს სწერენ მოსკოვის, რიგის, დნეპროპეტროვსკის, ქერჩის, გეორგიევსკის სკოლების პიონერები. ამ ზაფხულს გეორგიევსკის პიონერთა ბანაკ „ისკრაში“ 5 ალვანელი პიონერი ისვენებდა. მათ ინსცენირებული სიმღერების კონკურსში გაიმარჯვეს და ჯილდოც დაიმსახურეს.

●

ლამაზი სოფელია დუისი, აქაც დიდი სკოლაა, ბევრი გამრჯე ყმაწვილი სწავლობს. შრომა-დასვენების ბანაკმა პანკისის საბჭოთა მეურნეობაში წლეულს 4 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა. თავი ისახელეს პიონერებმა: ბელა და მადინა ხანგოშვილებმა, მერი მარგოშვილმა, თემურ მაჩალიკაშვილმა და სხვებმა.

მეტად შინაარსიანად მუშაობენ სკოლის ნორჩი ეთნოგრაფები. წრეში 15 გოგონაა გაერთიანებული, თვალს ახარებს მათი ნახელავი ჭრელ-ჭრელი წინდები, ნაბდები, ქეჩები, ფარდაგები, კახური და სვანური ქუდები.

ნორჩ შემოქმედთა რესპუბლიკურსა და საკავშირო გამოფენებს ამშვენებენ აიზა დუიშვილის, სადიმათ და ლეილა ქავთარაშვილების, იზა გაურგაშვილის ნახელავები. გოგონებს საქმიანობაში ხელს უწყობენ ნორჩი დურგლები მერაბ მარგოშვილი, ბესიკ, ზელიმან და ასლან ქავთარაშვილები. მათთვის სკოლის სახელოსნოში ამზადებენ საქუდე კალაპოტებს, ახარატებენ სართავ და საძახ თითისტარებს.

ნორჩმა ეთნოგრაფებმა მასწავლებელ ჟუჟუნა მარგოშვილის ხელმძღვანელობით შეისწავლეს ხალხური ღებვის საიდუმლოებანი: შავ, წითელ, წაბლისფერ და მწვანე საღებავებს თვითონვე ამზადებენ.

სკოლის ეზოდან სამხრეთით მთის ფერდობზე კარგად მოჩანს სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად აგებული კომპლექსი. მას თეატრონს ეძახიან. სცენის, სკამებისა და კიბეების ასაგებად კომკავშირელებმა და პიონერებმა მოაგროვეს ქვა.

სკოლის ეზოს გადაღმა ცხენის ფლოქვების ხმა გაისმა. ღელეზე გადებულ ხიდზე ორი უბელო, წითელი და თეთრი ცხენი გამოჩნდა, მხედრები ბიჭები იყვნენ.

— ელდარი და აბო არიან, ძალიან უყვართ ჯირითი, — თქვა ღიმილით უფროსმა პიონერხელმძღვანელმა მედიკო მარგოშვილმა.

ბიჭები ალაზნისკენ გაიჭრნენ და თვალს მიეფარნენ.

ის ორნი და კიდევ ოსმან და მურად მარგოშვილები, ომარ ქავთარაშვილი, ნიკო ფარეულიშვილი და სხვები პანკისის ხეობაში დღესასწაულებზე გამართულ არც ერთ დოღს არ აცდენენ. ოსმან მარგოშვილმა შარშან თბილისობაზე ყველას აჯობა დოღში და თასი დაისაკუთრა.

●

სოფელი ქისტაური. პოეტ რაფიელ ერისთავის სამშობლო.

სკოლის დერეფანში თეთრი მარმარილოსაგან გამოკვეთილი რაფიელის ბიუსტია.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა! — გვახსენდება მისი ლექსი...

პიონერთა ოთახის ახლოს, კედელზე, წარწერაა:

„ჩვენ შენი საიმედო ცვლა ვართ, კომკავშირო!“ ეს ცარიელი სიტყვები როდია.

— ზაფხულში შინ რა გაგვაჩერებდა, — გვიამბობს პირველი რაზმის

პიონერი დათო ჩანგაშვილი. — ჩვენი რაზმი მეძროხეობის ფერმის შეფია. ბინას ვასუფთავებდით, საკვებურებში საკვებს ვყრიდით, სარწყულებლებს ნაგვისგან ვწმენდდით. როცა ფერმის პირუტყვმა ნანახშირალის მიდამოებში იალაღებზე გადაინაცვლა, ხბორებს ვუვლიდით მე და ჩემი ძმები, თან გავყვევით სამწყესურში.

უფროსმა პიონერხელმძღვანელმა მარინე მაისურაძემ და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ნავალოვსკიმ ჩვენს წინ ქისტაურის რუკა გადაშალეს, იგი პიონერებს შეუდგენიათ. პირობითი ნიშნებით ვგებულობთ, სად რომელი რაზმი შრომობდა ზაფხულში.

მეურნეობას ვეებერთელა სასწავლო ნაკვეთი გამოუყვია სკოლისათვის. მოზრდილ ფართობზე ქერი დათესეს. თვითონ უვლიდნენ, მარგლავდნენ, სარეველას აცლიდნენ, შიგ არ გაუჭაჭანებიათ მინდვრის მავნებელი. 5 ტონა მოსავალი დაუდგათ, ქერი მეურნეობას მიჰყიდეს, თანხა (400 მანეთი) მთლიანად ჩერნობილის ფონდში გადარიცხეს, ხოლო ნამჯა უფასოდ მისცეს მეძროხეობის ფერმას.

სკოლას ორი ტრაქტორი აქვს. მართალია, მექანიზაციას უფროსკლასელები სწავლობენ, მაგრამ როცა სკოლის ნაკვეთში ტრაქტორები გუგუნებენ, კაბინაში პიონერებსაც ნახავთ — მართვას ეუფლებიან, ტრაქტორს ხელმარჯვედ ატარებენ გოგიტა შუშანაშვილი, საკო ბალუაშვილი, დათო ძილიხანაშვილი, ნინო მოსიაშვილი და ანა მაზიაშვილი.

●

ახმეტის რაიონში მრავალი სოფელია, ბევრი სკოლაა. ბავშვებზე რამდენი რამის დაწერა შეიძლება, მაგრამ ყველას უცებ როგორ გავწვდებოდით, როგორ შევძლებდით, ერთი კი ცხადი გახდა: ლენინურ კომკავშირს ახმეტის რაიონის პიონერმოსწავლეთა სახით ნამდვილი საიმედო ცვლა ეზრდება, ხოლო ჩვენს ლამაზ სამშობლოს — კომუნიზმის მომავალი ერთგული მშენებლები.

## ავთანდილ მებრელიშვილი

### დედამ მიტომ გამოგზარდა

მამულისთვის გაისარჯო,
დედამ მიტომ გამოგზარდა,
ფუტკარივით შრომა შეძლო,
ფრიადებზე სწავლის გარდა.

შენი მიწა, შენი ერი
ააყვავო, აამაღლო,
იყო მუდამ მშვენიერი,
საყვარელი, საამაყო.

### ისე მიყვარს, როგორც დედა

ბაღ-ვენახი, იალაღი,
ყანა, ჩაის პლანტაცია...
მე თუ მკითხავთ, მშობლიური
ყველაფერი წარმტაცია.

ყველაფერი გულს იტაცებს,
ვეტრფი ბალახ-ხვიარასაც,
როგორც დედა, ისე მიყვარს,
საქართველო ჰქვია რასაც!

### ჯეჯილი

დავხანი რკინის ხარითა
ნასვენი მიწა ბარისა.
დღე მზის იმედით ვიყავი,
ღამით კი ბადრი მთვარისა.

მარტი მოვიდა მტირალა,
თოვლი გაცილდა მთა-ველსა.
გაზაფხულს ისე შევხვდი,
როგორც ჩემს მკვებავს, მფარველსა.

ხორბალი დავთეს-დავფარცხე,
შუბლი დავნამე ოფლითა.
შემოდგომამ რომ დამტოვა,
თეთრი ზამთარი მოფრინდა.

ჯეჯილმა გადაამწვანა
ნახნავი რკინის ხარისა.
ვნახე, სიამით დამატკბო
და გული გამიხალისდა.

საყანე მიწის მკვებავი,
ზამთარი არის, რაც არის.
თოვლქვეშ მოქცეულ მიწაში
გაღვივდა ხორბლის მარცვალი...

ზაფხულში ამოთავთავდა,
აღელდა გასახარისად.
სულ მალე რთველი მექნება
ნანატრი მოსავალისა!

### ყაზბეგის იალაღებზე

თოვლივით გადაათეთრა
მწვანე ფერდობი ფარამა,
ავი ძაღლები თან მახლავს,
ნადირის შიში არა მაქვს.

ცა სარკესავით კრიალებს,
ისეთი კარგი დარია.

ტკბილად ვაკვნესებ სალამურს,
გავცქერი ზვიად დარიალს.

თავი ზღაპარში მგონია,
ნიავი მესალბუნება,
მთრთოლვარე, აფეთქებული,
მატკბობს მამულის ბუნება...



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეს დაუძლეველი არდადეგები

ალექსანდრე ლორია

მხატვარი თემურ ფხიკიძე

მოთხრობა

— ხვალაც არ გამოვა თქვენი კაპიტანი? — გაუბედავად, ვითომ სასხვათაშორისოდ ჰკითხა მან ზურას გამომშვიდობებისას.

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა ზურამ, — ისეა გამწარებული, რომ... იცი, რა გამყოლი გული აქვს? მტრისას! ჯერაც ვერ მოუნელებია, ნავიდან რომ გადმოგვყარეს. ისეა იმ გუბკაზე გაცეცხლებული, თვალებს ამოკორტნის.

ასე ეგონათ, მაგრამ სულ მალე დარწმუნდნენ, რომ ცდებოდნენ.

ერთხელ, საღამოს, როცა წვრთნას მორჩნენ, სამთავენი ბულვარის ბოლოში პატარა პავილიონს ეწვივნენ. ის იყო, დასხდნენ გადაპენტილი მაგნოლიის ქვეშ, ტუიის მოზრდილ ბუჩქთან, რომ შენიშნეს, იქვე, შორიახლოს გუბკას მასზე ცოტა პატარა ბიჭისათვის ორივე ხელი ჩაევლო საყელოში და მაწვნის ქილასავით ანჯღრევდა. ნინიკო ენერგიულად წამოხტა და მთელი ხმით გასძახა გაცეცხლებულმა:

— ეი, გუბკა!.. გუბკა!.. რას შვრები, გადაირიე?

გუბკამ თავი ანება თავის ნადავლს და გაოცებით მოიხედა, ვინ მეძახისო. რომ იცნო, ვინც იყო, მთელი სახით გაიღიმა და ზურგი შეაქცია პატარა ბიჭს.

— სანაძლეოს იხდით?.. ვინ წააგო? — უდარდელად, შინაური კაცის დაუდევრობით იკითხა მან მოახლოებისთანავე და თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა.

— ჰო, მართლა, — შუბლში იტკიცა ხელი ლერიმ, — მე ხომ სულ დამავიწყდა, კაპიტნის ვალი რომ მმართებს: ოთხი „პეპსი“ და ნაყინი.

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი“, 1986 წ. № 12.

ნინიკომ დაცინვით გახედა მას და მწარედ ჩაუნის-კარტა:

— ეს იმას ნიშნავს, რომ აღიარებთ გოგოსთან წაგე-ბას.

ლერის ალმური მოედო სახეზე, მაგრამ არაფერი უთქვამს. თვალი აარიდა და მომტანს დაუწყო ძებნა. გუბკამ დარცხვენით ამოიხვნეშა:

— ე-ეჰ, საცა სამართალია, ახლა მე უნდა გპატიჟებ-დეთ თქვენ, მაგრამ, რა დასამალია, ფული არა მაქვს და...

— მე დაგპატიჟებ, — გამოცოცხლდა ნინიკო, — რა მოხ-და მერე?

— როგორ, მე აქ არა ვარ? — ამაყად მოიღერა ყელი ლერიმ და მომტანს შორიდან მედიდურად ანიშნა, რაც უნდოდათ. — წაგებული იხდის... მოგება კი ყველას ერ-გება. აქ სამადლობელიც არაფერია.

ნინიკომ გადაწყვიტა შინაურული ატმოსფერო შექ-მნა და გუბკას მეგობრული კილოთი, თუმც მსუბუქი ტუქსვით უსაყვედურა:

— რას ერჩოდი იმ საწყალ ბიჭს, ტვინი კინაღამ რომ დაანთხევინე?

გუბკამ რისხვით შეკრა წარბები, თითქოს ვინმე აქ მყოფთაგანი ყოფილიყოს რამეში დამნაშავე:

— ეგ ჩემი ძმაა. დიდი საძაგელი ვინმეა. რამდენჯერ ვუთხარი, ნუ ეწევი სიგარეტს-მეთქი, და გაგიგონია? დედაჩემი გადარევასაა. ამ ზამთარს ასთმის ნიშნები გამოაჩნდა. ჰოდა, სახლში ვინც იყვნენ მწეველები, ყვე-ლამ გაანება თავი მაგის გულისათვის, თვითონ კი, ვითომც არაფერი. ჩამჯდარიყო აგერ ბიჭებში და აფუ-ტებდა გემოზე. იცოცხლე, დავითრიე!.. გაგონილა? სულ არ ეცოდება ის საწყალი ქალი.

გუბკამ ამასობაში კიდევაც მოასუფთავა თავისი ლამ-ბაქი და ბოთლიც გამოსცალა. მერე დანარჩენებს გადა-ხედა და ერთბაშად გულიანად გაიცინა — ახლა ხომ მიხვდით, რატომაც მეძახიან გუბკას... ასე ვიცი: სახლში ჩვენები ჯერ მიმსხდარნი არ არიან სუფრას, რომ მე უკვე ნასადილევი ვდგები. ჩემმა მთლად უფროსმა ძმამ შემარქვა გუბკა. მერე ყველამ ასე დამიწყო ძახილი... თან სქელი ტუჩებიც რომ მაქვს...

ბიჭებს სიცილი წასკდათ. ნინიკო თავდახრილი ნელ-ნელა შეექცეოდა ნაყინს და ქვეშქვეშურად, შეკავებული ღიმილით თვალს ადევნებდა ყმაწვილებს.

— მაინც რა გქვია სინამდვილეში? — დაინტერესდა ლერი.

— უჰ, ნუ მკითხავ! ისევ გუბკა დამიძახეთ, მირჩევ-ნია! — დაიღრიჯა ბიჭი. — ისეთი სახელი მაქვს, რომ... ახლა აღარავის აღარ ჰქვია.

— მაინც? — ჩააცივდა ლერი.

—ტრიფონი.

— რაო?! — ყურები ცქვიტეს ყმაწვილებმა.

— ტრიფონი... ბიძაჩემს ერქვა — მამის ძმას. ის რომ გარდაცვლილა, — ნეტავ არ მომკვდარიყო, — მაშინ და-ვიბადე მეც. იმას გავსო და შემარქვეს ტრიფონი... მე შენ გეტყვი, ისეთი სახელია, მოფერებით როგორმე გა-დაკეთდეს: ტრიფო, ტრიფონა, ტრიფი, ტრიფკა... რა არა ვცადე, მეჯღანუაშვილივით, და არაფერი გამომივიდა... — ყვებოდა და თან გულიანად ხარხარებდა.

თანდათან გახალისდნენ, გაუშინაურდნენ ერთმანეთს და საერთო ენაც იოლად გამონახეს. ხან სპორტზე ილა-პარაკეს, ხან კინოზე, ხან თეატრზე. ნინიკოც კი, ეს ენა-მოკვნეტილი კაპიტანიც, ალაპარაკდა.

ბაღში რომ გამოვიდნენ, დიდხანს იხეტიალეს. გაშ-ლილ-გაფანტულები მიდიოდნენ. გუბკა სულ უკან მო-ჩანჩალებდა. ხან ვის შეხვდებოდა, ხან ვის. ერთს რომ ქართულად მიესალმებოდა, მეორეს რუსულად გამოე-ლაპარაკებოდა, მესამეს სომხურად ეტყოდა ერთ-ორ სიტყვას; ორიოდე ბერძნის ბიჭიც ნახა და იმათაც თავი-ანთ ენაზე გაუბა საუბარი. ამ ყოფით სრულიად შეუმჩ-ნევლად ბაღის ბოლოს ქუჩაში გასასვლელთან აღმოჩნ-დნენ. გამოვიდნენ თუ არა, პარკის მიმდებარე პროსპექ-ტის ტროტუარზე, ორცხენიანი ფაეტონი მოუახლოვდათ ზომიერი ტკაპატკუპით.

— ამბაკოს გაუმარჯოს, ამბაკოს!.. — ძველბიჭურად ხე-ლის აწევით შესძახა მეეტლეს გუბკამ, — თავისუფალი ხარ?

მეეტლემ ერთი კი გამოხედა და რომ იცნო, ვინც იყო, დაბალ ხმაზე შემოუტია:

— გადი, ბიჭო, იქით, არ გამაპერტყინო თავი!

— თავისუფალი თუ ხარ, თავისუფალი? — არ ეშვებო-და გუბკა და მაღალი ხმით მისძახოდა, თანაც სიცილს ძლივს იკავებდა.

— თავისუფალს მოგცემ მე შენ! — მთელი ტანით მო-უბრუნდა მას მეფაიტონე და მათრახით დაემუქრა.

— ვერ იტანს, ასე რომ ვეძახი, — იცინოდა გუბკა. — ერთხელ მთელი დღე ისე გავიდა, ერთი შაურიც არ გა-უკეთებია... ჰოდა, იჯდა კოფოზე და თვლემდა ბოღმა-მორეული. ჩუმად მივეპარე, თავზე წავადექი და ხმამაღ-ლა შევუძახე, თავისუფალი თუ ხარ-მეთქი! წამოხტა სი-ხარულით, კი, ბატონო, თავისუფალი ვარო... მეც დავაა-ყოლე: გაუმარჯოს, აბა, თავისუფლებას-მეთქი! — ანეკ-დოტია ერთი ასეთი და ის გამახსენდა... რომ დამინახა, ვინც ვიყავი, გაცეცხლდა, მარა რა გაცეცხლდა! გამო-მენთო, მაგრამ რას დამიჭერდა? მათრახი მომიქნია, და-ვუჭირე და წავართვი. ამაზე მთლად გადაირია... დავე-მალე. მთელი დღე მეძებდა... საღამოს, იმ დროს მივუ-ტანე, შინ რომ არ იყო.

გუბკამ უცებ შეწყვიტა სიცილი და სერიოზულად იკითხა: „მართლა, ხომ არ გინდათ გავისეირნოთ ცხე-ნებით ერთხელ? საზღვრის ზონამდე გავიდეთ... აეროდ-რომთან გადასარევი საბანაო ადგილები ვიცი, კაციშვი-ლი არაა..."

ყმაწვილებმა ყოყმანით გადახედეს ერთმანეთს, არ იცოდნენ, რა ეთქვათ. კაპიტანს დაადგეს თვალი, შენ რას გვიბრძანებო. ის კიდევ გუბკას მიუბრუნდა:

— კი მაგრამ, როგორ?.. ეს მეეტლე, როგორც ვხედავ, შენ ახლოსაც არ გაგიკარებს და...

— მაგის ნუ გეშინია, ეგ ჩემზე იყოს, — გადაწყვეტი-ლად თქვა გუბკამ.

კაპიტანს თითქოს ჭკუაში დაუჯდა ბიჭის წინადადება, ხმადაბლა შეეკითხა:

— რა, ეგეც გლისერივით უნდა მოიპარო?

— იჰ, — ისტიბარს არ იტეხდა ბიჭი, — არ მომიპარავს, არა! ისე, წამოვიყვანე... ტყუილად იდგა მაინც... ვითომ რა მოხდა ასეთი? არ დავაბრუნებდი თუ რა? სად დავმალავდი ამ ზღვაში?

— მაინც, როგორ ფიქრობ? — ნერვიულად ისრესდა თითებს კაპიტანი.

— ჩვეულებრივ. ვეტყვი ამბაკოს და მათხოვებს.

— არა მგონია.

— არადა, მერე ქუჩაში არ უნდა გავლა? იცის ჩემი ხასიათი.

— ასე კარგად იცნობთ ერთმანეთს?

გუბკას არ შეუმჩნევია, როგორ გადახედეს ერთმანეთს გაოცებულმა ბიჭებმა, ისევ დიდი ენთუზიაზმით განაგრძო:

— მარტო ეს ორი ცხენი კი არა, სხვებიც ჰყავს — სადოლე ზედაურები. იცი, რა კარგები არიან? ერთი მაინც — შავი „კაჩო"... თვალს ვერ მოაშორებ... ამბაკოს ორშაბათობით პოლიგონზე დაჰყავს ცხენები... მაგრამ თვითონ მძიმეა და თავის ბიჭებს ავარჯიშებს... ხანდახან მეც, როცა მცალია. ჩვენში, რატომღაც, არაა მაგ დანერგილი. იპოდრომიც არ გვაქვს, თორემ უსათუოდ საცხენოსნო სპორტს გავყვებოდი.

— მართლა? — აღტაცებით შემოჰკრა ტაში ნინიკომ. — მეც ძალიან მიყვარს! ცხენივით არაფერი მომწონს. სხვათა შორის, ბაბუაჩემი, დედაჩემის მამა, ძველი ყოკეია. მასთან რომ ჩავდივარ, — ყუბანში ცხოვრობენ, — ყოველთვის დავყავარ იპოდრომზე. ხანდახან მეც მაჭენებინებენ ხოლმე. ერთ კვიცს ჩემს პატივსაცემად „ნინიკო" დაარქვეს. იცი, რა კვიცია?!. შუბლზე დიდი თეთრი ლაქა აქვს, თვითონ სულ ნაცრისფერია...

— ვა-ახ, მართლა?!. — გულით გაიხარა გუბკამ, თანამზრახველი რომ აღმოაჩინა. — ჰოდა, რაკი ასეა, — ახლა ბიჭებს მიუბრუნდა იგი, — თუ გინდათ, ორშაბათს წავიდეთ პოლიგონზე და გაჭენებთ, რამდენიც გაგიხარდებათ. წამოხვალთ?

ბიჭები აიმრიზნენ. ნინიკო თვალანთებული შეჰყურებდა მათ.

— მე პას!.. — განაცხადა ლერიმ. — ერთხელ მქონდა შემთხვევა და, მართალი გითხრათ, ვერავითარი სიამოვნება ვერ მივიღე... სულ ცხენის სუნი ამდიოდა... მერე მთელი სამი დღე ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს კი არ დავდიოდი, დავთოხარიკობდი.

— მე, აბა, მით უფრო, — იუარა ზურამ, — ჩემს სიცოცხლეში არ ვმჯდარვარ ცხენზე და არც არავითარი სურვილი მაქვს, თუ გინდათ სიმართლე.

ნინიკოს აღარაფერი უთქვამს.

და ისევ ქუჩას შეუყვნენ „ინტურისტისაკენ", სადაც ხალხი ფაჩვანახავით ირეოდა, უმეტესად, ახალგაზრდა ქალ-ვაჟები, გოგო-ბიჭები. პროსპექტი სავსე იყო ათასფერი მანქანებით. მათ შორის ერთი სადაფისფერი უცხოური ლიმუზინი გამოირჩეოდა თავისი აღნაგობითა და ელვარებით. გუბკამ მაშინვე დაადგა თვალი და დაკვირვებით შეათვალიერა.

— კარგი რამეა! — ნერწყვი გადაყლაპა და მოწონებით დააქნია თავი.

— იაპონურია, — განუმარტა ლერიმ, — უახლესი მოდელი. ავტომატური გადამრთველები აქვს...

— ერთი მაგით გამაქროლა და მეტი არაფერი მინდა! — მსუნაგ კატასავით უელავდა თვალები გუბკას. — ნეტავ ვისია? რომ ვუთხრა, ცოტა ხნით არ მათხოვებს?

— ვინ! თამაში?! — ისე გაუკვირდა ლერის, თითქოს რაღაც უსაშველო რამ გაეგონოს. — გაგიჟდი?! მე ვიცნობ მაგის პატრონს. ჩვენს მეზობლად ცხოვრობს.

— შენ რომ უთხრა, არ გვათხოვებს? — ისე დაეღრიჯა გუბკა, თითქოს სიცოცხლის ნება უნდა გამოეთხოვა ლერისათვის. იმან კიდევ ცივად გააქნია თავი:

— არა-მეთქი! რას ამბობ?! თვალისჩინივით უფრთხილდება, ცხვირსახოცით წმენდს, თითს მიაკარებინებს?

— რა მოხდება ისეთი? — ჩაიწვა გუბკა უცხოურ მანქანაში, — ხომ არ შევუჭამ? ერთს გავატარ-გამოვატარებ, ვნახავ, რა შვილიცაა და...

— არა-მეთქი! — კატეგორიულად მოუჭრა ლერიმ, — წინასწარ ვიცი, უარს გეტყვის.

აღარ უკამათიათ. ცოტა ხანს იქ იტრიალეს და მერე კიდეც დაშორდნენ ერთმანეთს.

## 4

ერთხელ, დილის ვარჯიშის შემდეგ შინ რომ ბრუნდებოდნენ, სამივენი ერთად გამოვიდნენ ქუჩაში, სადაც მათ ახალი სიურპრიზი ელოდა: ზედ ტროტუართან ამბაკოს ფაეტონი იდგა. კოფოზე „იზვოზჩიკის" ტანსაცმელში გამოწყობილი მეეტლე იჯდა მოკლე, კოკარდიანი ქუდით თავზე. ესენი რომ დაინახა, მთელი ხმით გადმოსძახა ზევიდან.

— კაპიტან!.. პრაშუ!.. — და თავისუფალ ეტლზე მიუთითა.

სამივენი პირდაღებულნი მიაჩერდნენ მეეტლეს, რომელიც ნახევრად მათკენ შემობრუნებული იჯდა გრძელტარიანი მათრახით ხელში და მთელი სახით იღიმებოდა.

— გუბკა?! — გაუბედავად წამოიძახა ნინიკომ, თითქოს ფიქრობდა, თვალი ხომ არ მატყუებსო. ლერი კი ერთბაშად გახალისდა.

— ყოჩაღ, გუბკა!.. შენ მაინც შენი გააკეთე, არა? აი, მესმის! — თქვა და პირველი თვითონ ჩასკუპდა ფაეტონში, იქიდან ხელი გამოუწოდა ნინიკოს და თავის გვერდით მოისვა სავარძელში. დაბოღმილი, დაბნეული ზურა ტუჩებმოღრეცილი და ამრეზილი ამოიზლაზნა ხვნეშა-ხვნეშით და მათ წინ დაიკავა ადგილი ტყავგადაკრულ ვიწრო სკამზე.

მთელი ქალაქი მოიარეს. სად არ იყვნენ, რა არ ნახეს, რა არ დაათვალიერეს.

გუბკამ გადაწყვიტა, „ინტურისტთანაც" ჩაექროლა, სადაც ბაღის ყორესთან, მთავარი შესასვლელის გასწვრივ ბიჭები იკრიბებიან ხოლმე. ახლა თვალებს დაუ-



ყენებს მათ. რის იაპონური მანქანა! ამ ფაეტონს რამე შეედრება?

ამ ფიქრებში კიდეც მიადგა დათქმულ ადგილს და შორიდანვე შენიშნა, რომ შუა ქუჩაში რამდენიმე ბიჭი იდგა, რაღაც ახირებულად იყურებოდნენ მისკენ, და გუბკამ მოახლოებული შტორმი იგრძნო, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, პირდაპირ მათკენ გასწია, ის იყო, მიუახლოვდა, რომ ბიჭებმა ცხენებს აღვირში ხელი უტაცეს.

— ვახ, გუბკა, მალადეც!.. გუბკა, ეგ შენა?! სად გადაშენდი? მეეტლეობა დაიწყე? — ალყაში მოამწყვდიეს და გასაქანს აღარ აძლევდნენ. ხუთნი იყვნენ. განსაკუთრებით ერთი აქტიურობდა — მაღალი, გამხდარი, თხელი, გრძელთმიანი. ის დაურიდებლად ახტა ფაეტონში და შიგ მსხდომნი აგდებულად შეათვალიერა.

— ეე, ეს რა ხალხია აქ? — ღრეჭით თქვა, მაგრამ ნინიკო რომ დაინახა, ყალბი თავაზით გააგრძელა ასევე მანჭიაობით: — ვა, კაპიტან!.. ბოდიში, რა! არ იქნება, ჩვენც აგვიყვანოთ შენს პარახოდზე?

— ჩვენაც! ჩვენაც! — ერთხმად იზრიალეს სხვებმაც.

გუბკა მომწყვდეული ნადირივით წრიალებდა კოფოზე:

— დამაცადეთ, მერე იყოს, მერე!.. ყველას დაგსვამთ!. ყველას გაგატარებთ! — მაგრამ მისი არავის ესმოდა. აიხორხლნენ ფაეტონზე, რამდენიმე შიგ ჩაეტენა, ზოგნიც კიდევ აქეთ-იქიდან შემოადგნენ კიბეზე.

— წადი, გუბკა, პაეხალი!. — ბრძანა მაღალმა ბიჭმა, მაგრამ გუბკა ცხენებს არ ძრავდა. უცებ შემოტრიალდა და წყნარად მიუბრუნდა გრძელთმება ბიჭს:

— ტოღრიკ, ხომ ხედავ, ხალხი მიმყავს, არა? მივიყვან და მოვალ.

— არა! — არ იხევდა უკან თავაშვებული ტოღრიკა, — ყველა ერთად!..

— ხომ იცი, რომ მასე არ იქნება, არა? — გუბკა ცდილობდა როგორმე დაემოშმინებინა იგი. — ახლა ასე გამიშვებს მილიცია?.. მერე მე მილიცია მინდა კიდევ?.. ან შენ? — შეპარვით, დაბალ ხმაზე დაუმატა და თავის ახირებულ კლიენტს თვალებში ჩახედა ორაზროვნად.

ტოღრიკა მოლბა — ჰო, კარგიო, და მარდად გადმოხტა ეტლიდან. მას სხვებიც მიჰყვნენ და გუბკამაც დაძრა ცხენები. უკანიდან მწვავე ქარივით მოსდევდა ბიჭების ღრიანცელი და ტოღრიკას ზღავილი:

— გელოდებით! ბიჭები გადაყარე და ეგ გოგო წამოიყვანე, მაგასთან მინდა ვისეირნო!

გუბკას თავი არ მოუბრუნებია უკან. ლერი და ზურა გაქვავებულნი ისხდნენ. ნინიკო ატკეცილიყო. თვალები უელავდა, ხელები უკანკალებდა.

გუბკამ პირველსავე ქუჩაზე ჩაუხვია თუ არა, ოდნავ შეანელა სვლა და უკანმოუხედავად დაგუბული ხმით თქვა:

— სახლებში მიგიყვანთ ახლა.

— არა, — მტკიცედ მოუჭრა ნინიკომ, — გააჩერე, ფეხით წავალთ!

გუბკამ მორჩილად შეაყენა ცხენები. ნინიკო ფიცხლად ჩამოხტა ეტლიდან და უკან არც კი მოუხედავს, აჩქარებით გაუყვა გზას.

გუბკამ ენერგიულად მოსწია სადავეები და ეტლი უკან მიაბრუნა. იმავე ქუჩაზე რომ გავიდა, სადაც ბიჭები ელოდნენ, ერთი-ორი ისეთი გადაუჭირა თვინიერ პირუტყვებს, რომ ცეცხლი მოენთოთ ტანზე.

ერთ ადგილას შეკრებილი გუნდი რომ არ დაშლილიყო, ცხენები ალბათ პირდაპირ შიგ შეიჭრებოდნენ. გუბკასაგან ათასგვარ გიჟურ ხუმრობას დაჩვეული ბიჭები ხალისიანი შეძახილებით მიმოიფანტნენ აქეთიქით და, გაჩერდა თუ არა ეტლი, ჩასასხდომად მიესივნენ, მაგრამ გუბკა ხაფად წამოიმართა და მტყუანსა თუ მართალს გამეტებით გადაუჭირა და გადაუჭირა მათრახი.

უცებ ტოლრიკას მოკრა თვალი. განზე გამდგარიყო ტროტუართან და სახედამანჭული ყურს ისრესდა, ეტყობა, იქ უწია მათრახის წვერმა. მისკენ მიუშვა ცხენები. ტოლრიკამ მოისაზრა და პირდაპირ ქუჩის გასწვრივ მოუსვა, მაგრამ მაინც უწია მათრახმა. მაშინ გადაფრინდა ღობეზე და ბაღს მისცა თავი.

გუბკამ ცხენები დააურვა და ზომიერი ნაბიჯით გარეკა შინისაკენ.

5

ორი დღე ტყუილუბრალოდ ელოდნენ კაპიტანს. ლერი გუმანით ხვდებოდა: გოგონა, ერთი მხრივ, გუბკაზე იყო გაჯავრებული, მეორე მხრივ, ზურასა და ლერიზე, ისე უსიტყვო სტატისტებივით რომ ჩაატარეს ეტლზე თავდასხმის სცენა... ლერის სირცხვილისაგან ყურები ეწვოდა. არ იცოდა, როგორ მისდგომოდა ნინიკოს, რითი ემართლებინა თავი. ჯავრი მოსდიოდა თავის თავზე. ზურამ ხომ მთლად გადარია, მას იმ დღეს მომხდარი ამბავი უხაროდა კიდეც.

ნინიკოს ამბის გაგება ისევე ნათიამ იკისრა. იმას არასოდეს არაფერს არ უმალავდა მეგობარი და დარწმუნებული იყო, მალე დაიყოლიებდა კიდეც და ყველაფერი ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგებოდა.

ნინიკო მართლაც ძალიან გაბრაზებული იყო. იმ ავბედით დღეს სახლში აღრენილი დაბრუნდა. როგორც ყოველთვის, ახლაც მარტო იყო და ვერაფრით ვერ დაიოკა ნერვები, ვერ დაწყნარდა, ვიდრე საღამოს დედა არ მოვიდა. ცოტათი გაერთო, მაგრამ დედამ ადრე დაიძინა და მარტოდ დარჩენილი ნინიკო კვლავ აიღერლა. ტელევიზორი ჩართო და გვიან ღამემდე არ მოშორებია, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. ძილიც არ ჰქონდა მშვიდი. დილით თითქმის მთლად გამოუძინებელი წამოხტა.

დედას ჯერ ისევ ეძინა. ის, საერთოდ, გვიან მიდის სამსახურში. ვიდრე მანქანა მოაკითხავს, ზოჯერ ნინიკო ვარჯიშიდან მობრუნებასაც ასწრებს ხოლმე.

დალია ჭიქა რძე, დაავლო ხელი თავის სპორტულ ჩანთას და კარი გაიხურა, მაგრამ უცებ საოცარი გრძნობა დაეუფლა: აღარ უნდოდა ახლა კორტებზე მისვლა, ამხანაგების ნახვა, მათთან საუბარი. ლაპარაკის თავიც არა ჰქონდა. თავის თავთან ყოფნის სურვილი გაუჩნდა რატომღაც. ჰოდა, რა უშლიდა ხელს? მანაც აიღო და დაიწყო ხეტიალი ქუჩებში.

ქალაქი მის თვალწინ იღვიძებდა, მოძრაობას იწყებდა, თანდათან დუღდებოდა. ეს ისეთ საინტერესო სანახაობად მოეჩვენა, რომ ერთგვარი სიამეც კი იგრძნო.

შინ რომ დაბრუნდა, დედა უკვე წასული დახვდა, ისაუზმა და წიგნები შეათვალიერა, მაგრამ გული ვერც ერთს ვერ დაუდო. ცოტა ხანში ვარჯიშიდან მობრუნებულმა ზურამ შემოსძახა ფანჯარაში: რატომ კორტებზე არ იყავიო. ნინიკომ მწყრალად შეხედა ამხანაგს. გაუკვირდა, ასე უბრალოდ, ჩვეულებრივად რომ ელაპარაკებოდა იმ ამბის შემდეგ. როგორ არა რცხვენია?. ნუთუ არაფრად მიაჩნია ის, რაც მოხდა?

ასე არ უნდაო, და ნინიკომაც გამესებით შეუტია:



— დამანებე თავი, ჩემი საქმისა მე ვიცი! — და ფანჯარა მიუჯახუნა.

მეორე დღეს სულ არ გასულა სახლიდან, ვიდრე ნათიამ არ მოაკითხა დილის წვრთნის შემდეგ და ძალისძალად არ დაითანხმა სასეირნოდ გაჰყოლოდა. იმდენი ელაპარაკა, როგორც იქნა, გადააწყვეტინა, მეორე დღისათვის სავარჯიშოდ წასულიყო.

ნინიკო რომ შინ დაბრუნდა, უკვე შელამებული იყო. სახლი ჩაბნელებული დაუხვდა და ერთბაშად კვლავ მოიწყინა.

დაუარა ოთახებს და საცა კი ნათურა ეგულებოდა, თითქოს ვინმეს ჯიბრზეო, ყველა აანთო. სამზარეულოში ვახშამი გამზადებული და სუფრაზე დაწყობილი დაუხვდა. იქვე დედის წერილი იდო:

„ ნინიკო! სულ ველარ გაქცევ ყურადღებას. არაფერს არ ჭამ. ასე როგორ იქნება? მაცივარში მარწყვის კომპოტია, ახალი პური მოგიტანე, შენი საყვარელი ნამცხვარიც. რძე მაცივრიდან გამოიღე და შეათბე. დღეს რაიონში გავდივარ და ალბათ გვიან დავბრუნდები. გკოცნი. შენი დედიკო“.

საოცარი სითბო იგრძნო ერთბაშად. გული აუჩუყდა და ძალიან მოუნდა დედა...

დილით იმავე გვერდზე გამოეღვიძა, რომელზეც დაწვა. ზუსტად იმ დროს დააჭყიტა თვალები, ჩვეულებრივ რომ იღვიძებდა ხოლმე. უცებ წამოხტა და დედას საწოლში ჩაუხტა. კინაღამ გადარია მძინარე ქალი.

— შვილო, ნინიკო!.. — გაოცებას ვერ მალავდა ლენა, — რა იყო, რა მოგელანდა? ხომ არ შეგაშინა რამემ?

— არა, დედიკო, არა!.. — კატასავით კრუტუნებდა ნინიკო და მაგრად ეკვროდა დედას გულში. — მიყვარხარ!.. ძალიან, ძალიან მიყვარხარ!

— ვაი?! — ყურს არ უჯერებდა ქალი, — შენ და ასეთი განაზება?

გოგონას ლოყები აფაკლოდა, თვალები დანაშვოდა და ისეთი სიყვარულით, სითბოთი და ნეტარებით იცქირებოდა, ლენამ ვერ მოითმინა და მაგრად ჩაიკრა გულში.

— ჩემი ჭკვიანი გოგო, ჩემი ნინუკი, ჩემი უთქმელა, დარდიანა!.. როგორ უცებ გამეზარდე! მე შენ ისევ პატარა მგონიხარ და აგერ თვალსა და ხელს შუა დამისრულდი... მეთხუთმეტე წელში გადადექი, წარმოგიდგენია?! უკვე დიდი გოგო ხარ, შემოგევლე! — დაუკოცნა თვალები, ლაწვები, ყელი...

დედა გვიან წავიდა სამსახურში. არ უკითხავს შვილისათვის, დღეს რატომ არ წავიდა ვარჯიშზე, თუმც, ცოტა არ იყოს, დააეჭვა ამან — ნინიკო ხომ არც ერთ დღეს არ გამოტოვებს არც დარში, არც ავდარში, დილაუთენია გარეთ არ გაიჭრას სავარჯიშოდ. კარგ ამინდში კორტებზეა, წვიმაში ველოსიპედით დანავარდობს ნახევარ საათს მაინც.

წავიდა თუ არა დედა, ნინიკო გარდეროზს ეცა, მაგრამ ვერა და ვერ შეარჩია, რა ჩაეცვა. ხან რა მოისინჯა და ხან რა. ბოლოს ერთი ლურჯზოლებზა კაბა ჩაიცვა და კმაყოფილი დარჩა. სარკეს მიუჯდა და მთელი საათი აწვალა თმა, ვიდრე საფეთქლებთან და კეფაზე არ ჩამოიგრძელა. ბოლოს შეათვალიერა თავი და მოეჩვენა, რომ სულაც არ ჰგავდა ბიჭს.

კორტებზე უკვე აღარავინ ელოდა მას. ნათია განაწყენებული იყო, პირობა რომ არ შეუსრულა დობილმა, და გადაწყვიტა, ვარჯიშის შემდეგ კვლავ ხლებოდა შინ.

ზურა და ბუკა ერთმანეთს ეთამაშებოდნენ, სხვები სხვა მოედნებზე გაკრეფილიყვნენ. ლერიმ თუმც კი მოიტანა თავისი „ადიდასის“ ჩანთა, მაგრამ ვარჯიშზე უარი თქვა, არ მეხალისებაო. იჯდა მოაჯირზე გადაწოლილი, თავზე თეთრ კეპჩამოფხატული და სავსებით გულგრილად შეჰყურებდა ზურას და ბუკას პაექრობას. თავის ფიქრებში იყო წასული.

საოცრად უგემურ გუნებაზე იყო. არ აეწყო მისი დასვენება. უკვე არაფერი არ ეხალისება, არაფერი იზიდავს. ზღვაც კი მობეზრდა.

დღეს მაინც სულ დაითარსა: მთელი ღამე ხომ წესიერად არ უძინია, მერე იყო და, დილით სასტუმროს ჰოლში ისეთ ბიჭებს გადაეყარა, სულ რომ არ ეპრიანებოდა. როგორც იყო, თავი დააღწია მათ, რომ ზედ კორტებთან ლალის და მის თანმხლებ გოგონას გადაეყარა.

ლალი სიხარულით ჩამოეკიდა კისერზე.

— ბიჭო, ლერი, ძლივს არ დაგიჭირე! რამდენი გეძებე, რომ იცოდე!

— მე... მე სულ აქა ვარ, კორტებზე... — აირია ლერი. ძლივს მოიფიქრა, მისალმებოდა ლალის თანმხლებ გოგონას.

— სადა ხარ დამდგარი? ვისთან?

საკმაოდ უსიამოვნო პერსპექტივამ ლერის გული შეუღონა: არ გინდა, ახლა ამათ მოუყვე, რომ აგერ ორ კვირაზე მეტია, აქაა, რომ მამა და დედა შორეულ საზღვაო მოგზაურობაში არიან და ბოლოს ბათუმში უნდა ჩამოვიდნენ; რომ მას ერთი ოთახი უჭირავს „ინტურისტში“ და იმათ ჩამოსვლას ელოდება, აგვისტო აქ უნდა გაატარონ ერთად?.. ამას კიდევ ვინ ჩივის, დამატებით ათას კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა.

ლალიმ იმდენი ინფორმაცია დაახვავა, მეასედიც არ დამახსოვრებია. ქალიშვილი არც კი აქცევდა ყურადღებას, უსმენდა თუ არა ბიჭი.

— ჩვენ სწორედ იმ დღეს ჩამოვედით, — ჩაურთო ლალიმ სხვა ამბებს, — აი, საზღვრის დამრღვევები რომ დააკავეს. ხომ იცი?

— არა! — გაიკვირვა ლერიმ.

— როგორ არ იცი? მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს... ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ, სულ ახალგაზრდები... ბავშვები, რა... გოგოც ყოფილა ერთი... ისეთი ამბავი იყო!.. თურმე, იარაღი რომ არ ეხმარათ დამრღვევებს, უცაბედად დასხმიან თავს, წყალში გადაუყრიათ და ისე აუყვანიათ სათითაოდ ყველანი. შტერები! გლისერით ნდომებიათ საზღვარზე გადასვლა.

ლერიმ ღიმილი ვერ შეიკავა.

— მართლა, მართლა! არ გჯერა? დედას გეფიცები! — ირწმუნებოდა ლალი.

— ჩემმა მეზობელმა თავისი თვალით ნახა, დაწვრილებით მოგვიყვა ყველაფერს, — დაემოწმა ლალის მისი ამხანაგი.

— მერე, რა უყვეს იმ საზღვრის დამრღვევებს, არ უთქვამთ? — დამცინავი ღიმილით იკითხა ლერიმ.

— არ გჯერა?.. — აუყვავილდა სახე ლალის სიბრაზისაგან, — დამცინი კიდეც!?.

ლერი, რომელიც მთელი თავით მაღალი იყო ლალიზე, ზევიდან დაჰყურებდა ამ კაფანდარა, ცქრიალა, ჟუჟუნათვალება, ალისფერტუჩება გოგონას და უკვირდა, რა ჰქონდა საერთო მასთან, ყოველთვის რომ უხაროდა მისი ნახვა, ურეკავდა, ხან სად ეპატიჟებოდა და ხან სად... ერთ ამხანაგურ წრეში ტრიალებდნენ, თითქმის სულ ერთად იყვნენ სკოლაში თუ ქუჩაში, ვინ იცის, რას არ ლაპარაკობდნენ ამხანაგები მათზე... ჰმ, რა უცნაურია!..

გოგონები ზღვაზე მიდიოდნენ საბანაოდ და მისი წათრევაც სცადეს, მაგრამ ლერიმ უარი უთხრა, მოიმიზეზა, კორტებზე მელოდებიან, ყოველდღე უნდა ვივარჯიშო, რომ ფორმა არ დავკარგოო...

— ვარჯიშის შემდეგ ხომ შევხვდებით? — ცოტა არ იყოს, წყენით ჰკითხა ლალიმ.

ლერიმ სახე მოარიდა, არ იცოდა, რა ეთქვა. ტკეპნა დაიწყო:

— ისა... იცი, რა... შუადღისთვის შეკვეთა მაქვს ტელეფონზე... თბილისში... ბებიას უნდა ველაპარაკო, — და უხერხულობა რომ შეენიღბა, ღიმილი მოიშველია და ხუმრობით განაგრძო: — ბებია გვყავს, ბატონო, სახლის ყარაულად.

— მაგას რა შეკვეთა უნდა? — გაუკვირდა ლალის, — აგერ ზედ პლაჟზე არ არის ავტომატები? დარეკე ახლავე.

— ჰო, მაგრამ... — ბრინჯივით დაიბნა ლერი, — ამ შემთხვევაში ცოტა სხვაგვარადაა საქმე... დაბარებული აქვს, როდის უნდა დავურეკო და... — ლობე-ყორეს ედებოდა და, რომ შეატყო, მაინც და მაინც სარწმუნო არ იყო მისი ნათქვამი, დასძინა: — მართალი ხარ, ჰო, შეიძლება... ერთი სიტყვით, ვნახოთ, აქ არა ვარ?

— ჰოდა, — არ ეშვებოდა ლალი, — ეცადე. ჩვენ ბანაობის შემდეგ მოგაკითხავთ კორტებზე. პაკა! — ხელი დაუქნია და ორივე გოგონა ზღვისაკენ დაეშვა.

აღარ იცის ლერიმ, როგორ მოიქცეს, ვარჯიში ეზარება, ბანაობა მობეზრდა... ის ბიჭები კიდევ, წავლენ-წამოვლენ სადღაც-სადღაც... ზურაა და, ჩამოუშვებს ცხვირს და შინ გარბის, წესიერად სიტყვას არ გეტყვის. ასეთ ვითარებაში ლალის „კუტოკში“ მოხვედრა ყველაზე კარგი ვარიანტია.

ფიქრებიდან ბუკას ყვირილმა გამოიყვანა.

— ჰა, რას შერები, ბიჭო, სარი გადაყლაპე? — მთელი ხმით უკიჟინებდა ზურას, იმან რომ მარტივი მიწოდება „ულაპა“ და ახლა მეორე მხარეს აღარ აპირებდა გადასვლას, გახევებული იდგა და გაოგნებული იცქირებოდა კორტების შემოსასვლელისაკენ. ბუკამ თვალი მიადევნა მის მზერას და ისიც სახტად დარჩა, ლერიმაც უნებლიეთ იქით მიიხედა. დაინახა, რომ შემოსასვლელთან ვიღაც მაღალი, მოხდენილი, ელეგანტურად გამოწყობილი, მოკლედ თმაშეკრეჭილი ქალიშვილი იდგა.

— ნინიკო?! — წამოიძახა და თავისდაუნებურად წამოდგა.

ნინიკოს გამოჩენამ ერთბაშად გამოაცოცხლა კორტები.

— სადა ხარ აქამდე, რა მოგივიდა? — დააყარეს კითხვები ამხანაგებმა და გარს შემოერტყნენ.

იგი ხმას არ იღებდა. გარეგნულად მშვიდი ჩანდა, თუმცა მუხლები უცახცახებდა. თავის ქერქში ვერ გრძნობდა თავს. უხერხულად ატუზულიყო. როგორც იქნა, მოაჯირთან მიდგმულ ძელსკამზე დაჯდა და სათამაშო მოედანი შეათვალიერა.

— არ ითამაშებ? — მიუახლოვდა ზურა და რატომღაც ბღვერით შეათვალიერა.

— არა, სათამაშოდ არ მოვსულვარ. თქვენ ივარჯიშეთ! — თითქმის ბრძანებით თქვა კაპიტანმა და ყველანი ნელ-ნელა თავიანთი ადგილებისაკენ გაიკრიფნენ. ზურამ და ბუკამ თამაში განაგრძეს. ლერი ნინიკოსაგან მოშორებით ჩამოჯდა და ფარულად დაუწყო თვალიერება.

ყველანი ჩუმად იყვნენ ბუკას გარდა. იგი სულ რაღაცას ედავებოდა ზურას, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა მას.

— უჰ, როგორ ცხელა! — თქვა ლერიმ და თეთრი კეპი კოტორზე წაიგდო.

ნინიკო თავის დაქნევით დაემოწმა.

— რამეს ხომ არ დალევდი ცივს? საშინლად მწყურია. — ლერი წამოდგა და გოგონას შეხედა.

— ჰო, კი, — გონებაგაფანტულად თქვა ნინიკომ და ისიც წამოდგა.

კორტებიდან გამოვიდნენ. ლიანებმოდებული ღობის გამოღმაც ისმოდა ბურთის ტკაპატკუპი, მოთამაშეთა შეძახილები და ბუკას გაუთავებელი ბუზღუნი.

— ე, ბიჭო, საით ურტყამ, გადაირიე თუ რა მოგივიდა? — ეჩხუბებოდა იგი ზურას და გაჯავრებული დაეძებდა ღობისპირა ბარდებში მიკარგულ ბურთს.

გამაგრილებელი წყლების ფარდული იქვე იდგა, პლაჟის დასაწყისში.

ლერი უცებ შედგა.

— იცი, რა, — გაუბედავად შემოხედა ნინიკოს, — კორტებს ქვემოთ რომ პავილიონია, იქ ხომ არ წავსულიყავით? აქ მაგრა აჭერს მზე.

ნინიკო უხმოდ დაეთანხმა და ის იყო, უკან უნდა გამობრუნებულიყვნენ, რომ ლერის ნაცნობი ხმა შემოესმა. იმავე წუთს მათთან ლალიმ მოირბინა, საცურაო კოსტიუმით იყო. მისი მეგობარი მაგიდასთან იჯდა და შორიდან ინტერესით შემოჰყურებდა მათ.

— მორჩი ვარჯიშს? — ლალიმ თვალი შეავლო ბიჭს და მრავალმნიშვნელოვნად შეათვალიერა ნინიკო. — ახლა სად მიდიხარ? ბებიას ხომ არ უნდა დაურეკო? — მწვავე ირონიამ გაკვესა მის ხმაში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

**მანანა გელაშვილი**

თ. ცაგარელის ფოტო

ყველა თავისი ნამოწაფარის ასა-ვალ-დასავალი ზედმიწევნით იცის, იცის—სად არიან ახლა და რას საქმიანობენ ის ბიჭები, გაკვეთილების უცოდინარობისათვის ბიბლიოთეკაში რომ „მიავლინა“, მერე კი დავალების კარგად შესრულებისთვის ფილმიც აჩვენა და კაკლის მურაბითაც ჩაატკბარუნებინა პირი; ან კიდევ ის ზნაურელი მოსწავლეები, მათ სკოლაში განაწილებულს, მაშინ ჯერ კიდევ დამწყებ მასწავლებელს...

ან კი როგორ არ ეცოდინება, როცა დროდადრო, საღამო ჟამს სკოლის გეოგრაფიის კაბინეტში მისი ყოფილი მოსწავლეების ხან ერთი წყება იყრის თავს, ხან მეორე. გული მოუწევთ და მოდიან, მოდიან ნორა მასწავლებლის სანახავად, მასთან ერთად საკუთარი გაფრენილი ბავშვობის გასახსენებლად, ლხინისა თუ ჭირის გასაზიარებლად, რჩევის მისაღებად, ალსარების სათქმელად და ალბათ ყველა მათგანი, იქნებ შეუცნობლადაც კი, გულში, გონე-

**მასწავლებელი, ჩემი კარგი მასწავლებელი**

მრებოდა მეხუთეკლასელ ანა ჰორგოშიას „პატარა კუნძული, რომელზეც ბუჩქ-ბუჩქად ჰყავის ევკალიპტი და რომელზეც არის მაღალი, ქერა ბელადი“; ალბათ არც მეექვსეკლასელ გიორგი სანიკიძეს გაუჩნდებოდა სურვილი, „მფრინავი სკო-



ყველა გულისყურით უსმენს ნორა მასწავლებელს, მისი ყოველი სიტყვა ღრმა შინაარსითაა სავსე

# რა კარგია, რომ ნორა მასწავლებელი არსებობს

პირველივე დღეს რომ გააგონეს, როცა თავიანთ ძველ მასწავლებელს შეადარეს, — „აფსუს, მარგოო!“, გააგონეს და უნებურად აგრძნობინეს, რა დიდი პასუხისმგებლობა აწოლ თავზე ახალბედა მასწავლებელს; ან ის „ამრევი“ მეშვიდეკლასელი, რომლის გახსენებაც კი გუნებას უფუჭებდა სკოლაში მომავალ, ბაში, სულში დაატარებს აზრს, რომელიც ასე უშუალოდ და პირუთვნელად გამოუთქვამს მის ერთ-ერთ ახლანდელ მოწაფეს, მეექვსეკლასელ თეა ცერცვაძეს: „რა კარგია, რომ ნორა მასწავლებელი არსებობს!“

მართლაც რა კარგია, რომ არსებობს მასწავლებელი ნორა ტარიელაშვილი, თორემ ხომ არ დაესიზმრებოდა

ლები არსებობდეს, რათა როცა გეოგრაფიის მასწავლებელი გაკვეთილს ახსნის, ამ მფრინავი სკოლის საშუალებით უფრო დაწვრილებით გააცნოს მოსწავლეებს ყველაფერი“; არც ზუგდიდიდან გადმოსული მ. კორკელია იტყოდა, „მეხუთე კლასში არც ისე მიყვარდა გეოგრაფია, შეიძლება ახლაც არ მყვარებოდა, მაგრამ ნორა მასწავლებელმა ძალიან შემაყვარაო;“ არც გიორგი კორომზინაძე ინატრებდა: „მინდა, რომ ყოველდღე გვქონდეს გეოგრაფიის გაკვეთილი, მინდა მოგზაური გამოვიდეო“, არც კახა ბესტავაშვილი გამოტყდებოდა: „სწავლა მეზარება, მაგრამ გეოგრაფია მაინც

მიყვარსო“; არც სოფიო მეშკუდიანს აღმოხდებოდა: „მე ბევრი რამ მქონდა კიდევ დასაწერი, მაგრამ ამ ზარმა შემიშალა ხელი და ვეღარ დავწერე, ახლა კი გემშვიდობები, ჩემო საყვარელო გეოგრაფიის გაკვეთილო“; და ვინ იცის, იქნებ მეხუთეკლასელები დათო, ზურა და კახაც ვეღარ წასულიყვნენ „გასული ზაფხულის არდადეგებზე ავსტრალიაში სამოგზაუროდ, სადაც პაპუასებს დაუმეგობრდნენ და მათთან ერთად დადიოდნენ ნიანგებზე სანადიროდ“...

თვითონაც თითქმის ამათი ტოლი იყო, როცა ჯერ მოეჩვენა, მერე იგრძნო, მოგვიანებით კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მასწავლებლობა უნდოდა. უნდოდა და გახდა კიდეც. უკან დარჩა უმამოდ ჩავლილი ომისდროინდელი ბავშვობა, ტკბილ მოსაგონრად იქცა მშობლიური ერედვის დაწყებითი სკოლა, ქსუისის საშუალო სკოლა, სამუდამო მოწიწებად ჩამოყალიბდა დამოკიდებულება დღევანდლამდე მისაბაძი საყვარელი მასწავლებლის ანო ტარუაშვილისადმი, მერე სტუდენტობაც დამთავრდა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ნორა ტარიელაშვილი ზნაურის საშუალო სკოლას მოევლინა გეოგრაფიის მასწავლებლად. მოგვიანებით ახალგაზრდა პედაგოგი ბორჯომში გაიგზავნა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სწორედ მაშინ აღმოაჩინა და იგრძნო მასში ნამდვილი მასწავლებელი ლევან ჩიქვანაიამ, კურსების ლექტორმა და მომავალი პირველი ექსპერიმენტული სკოლის მომავალმა პირველმა დირექტორმა.

გამოხდა ხანი. ოჯახი თბილისში გადმოსახლდა. მასწავლებლის ადგილის შოვნის იმედი რომ გადაეწურა, ნორა ტარიელაშვილმა ქარხანა „ელექტროგამშვებში“ დაიწყო მუშაობა ამწყობ ზეინკლად. საკუთარი სინდისის შესაბამისად მუშაობდა—მთელი მონდომებით, ენერგიით, ენთუზიაზმით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. მეექვსე თანრიგის ზეინკალი გახდა, ბრიგადის ხელმძღვანელადაც აირჩიეს, საამქროს უფროსად დანიშვნასაც უპირებდნენ. ათი წელი გაატარა ქარხანაში, მაგრამ მასწავლებლობა წამითაც არ გადაუფიქრებია, წამითაც არ განელებია რწმენა იმისა, რომ მისი საქმე და მოწოდება მხოლოდ მასწავლებლობაა. კიდევ ერთ ადამიანს სჯეროდა ეს მტკიცედ — ლევან ჩიქვანაიას. მოძებნა ბორჯომში დამახსოვრებული მასწავლებელი და თავისთან, ახლად გახსნილ ექსპერიმენტულ სკოლაში მიიყვანა, თუმცა არცთუ ისე იოლი გახლდათ ბევრის და ბევრის დარწმუნება საწარმოდან მოყვანილი, უმნიშვნელო პედაგოგიური სტაჟის მქონე მასწავლებლის მასწავლებლობაში...

მას მერე ოცი წელი გავიდა. დღეს ნორა ტარიელაშვილი თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის უფროსი მასწავლებელი, სახალხო განათლების წარჩინებული, ამ წლის თბილისის საუკეთესო მასწავლებელი და, რაც მთავარია, მოსწავლეების საყვარელი მასწავლებელია.

მოდით, ისევ ბავშვებს მივმართოთ, მასწავლებლის ავკარგიანობის ყველაზე პირუთვნელ შემფასებლებს:

„რა არის გეოგრაფია? არ ვიცი, მგონი ისეთივე ჩვეულებრივი საგანია, როგორც ყველა სხვა, მაგრამ თუ ასეა, რატომ იწვევს გეოგრაფიის გაკვეთილი ასეთ აღფრთოვანებას და მღელვარებას, როგორც ჩვენს კლასში? მთავრდება გაკვეთილი და ყველა შვებით ამოისუნთქავს. — ოჰ, გადავრჩით, — იტყვიან. მაგრამ გგონიათ, ჩვენს კლასს გეოგრაფია არ უყვარს? არა, გეოგრაფია კი არა, მასწავლებელი. თუ გეშინია, გეშინია არა საგნის, არამედ მასწავლებლის. ასე არ არის? „შიში შეიქმს სიყვარულსაო“,—უთქვამს შოთა რუსთაველს. მაგრამ შიშით რომ არ გვიყვარს ნორა მასწავლებელი! რაღაც მორიდება გვაქვს მის მიმართ, სიყვარული. ჩვენს კლასში რომ შემოხვიდეთ და იკითხოთ, ყველაზე მეტად რომელი მასწავლებელი გიყვართო, გარწმუნებთ და ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ, ყველა გეტყვით, ნორა მასწავლებელიო. მართლაც, იცით, რაღაც თავისებური ადამიანია, ყველასთვის საყვარელი და სამართლიანი“.

ნორა ტარიელაშვილი სკოლის დირექტორიც გახლდათ. კოლექტივმა აირჩია. ასეთი რამ ძალზე იშვიათად ხდება. როგორც წესი, სკოლის დირექტორად ნიშნავენ. ნორა ტარიელაშვილი კი აირჩიეს. ექვსი წელი იმუშავა და ბევრიც გააკეთა როგორც დირექტორმა. სწორედ იმ წლებში მოისპო სკოლაში „შპარგალკები“, აშენდა ახალი, მესამე კორპუსი საამქრო დარბაზით, სასა-




### ედმონდო დე ამიჩისი
### „გული“

„გული“ — ნაწარმოები, რომელიც ამასწინათ გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“, ცნობილი იტალიელი მწერლის ედმონდო დე ამიჩისის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საბავშვო წიგნია.

ედმონდო დე ამიჩისის ეს ნაწარმოები ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვლისა, ფორმითა და ნათქვამის კომპაქტურობით. იგი მოსწავლის დღიურების სახით არის დაწერილი. ეს დღიურები, ფაქტიურად, მთელი ერთი სასწავლო წელია, სკოლასთან, ტოლ-მეგობრებთან თუ მასწავლებლებთან დაკავშირებული უამრავი მოვლენაა მისი ავტორისთვის — პატარა ენრიკოსთვის; უამრავი შთაბეჭდილებაა, რომელთა მიღება-დაწმენდის დროსაც იგი თავისი ქვეყნის ჭეშმარიტ მოქალაქედ ყალიბდება. ენრიკოს დღიურებს დროდადრო მისი მშობლების ან მასწავლებლების მონათხრობებიც ენაცვლება. ამ მონათხრობების შემცველი ჩანაწერები დღიურში, უმთავრესად, დიდაქტიკური ხასიათისაა, ოღონდ ეს დიდაქტიკა არსად არ „ყვირის“, არსად არ გაღიზიანებს. ნაწარმოების კითხვის დროს კი ბავშვების მაღალზნეობრივ იდეალებზე მზრუნველ კეთილშობილ ადამიანთა მთელი გალერეა დაგიდგება თვალწინ. წიგნის გმირ თითქმის ყოველ მასწავლებელს აქვს უნარი, მეგობრად, ზნე-

დილოთი, მოეწყო ავტოსადგომი, სპორტული მოედანი, გაშენდა დეკორატიული ბაღი, გზაჯვარედინის ერთი ნაწილის გადაკეტვით მოხერხდა სკოლის მიმდებარე ქუჩების გაუსაფრთხოება...

მაინც სული კბილით ეჭირა გასაქცევად, გეოგრაფიის კაბინეტში გასაქცევად. რატომ?

— მასწავლებლობა მინდოდა, მე კი უფრო დირექტორობა მიწევდა... მომეჩვენა, რომ ბავშვებს დავცილდი და...

და დაუბრუნდა ნორა მასწავლებელი საკუთარი მოწადინებითა და რუდუნებით, გოგო-ბიჭების აქტიური მონაწილეობით მოწყობილ გეოგრაფიის კაბინეტს, რომელშიც ასე მოუხარიათ ბავშვებს. კედლებს ათასნაირი რუკა, მოგზაურებისა და გეოგრაფების სურათები ამშვენებს. თარო-კარადები სავსეა ასობით საქაღალდით. ზოგში ფოტოსურათებია, ზოგში ფერადი სლაიდები, დღიურები, ჩანახატები, მაგნიტური ფირები. ცალკე ადგილი უჭირავს ბავშვების ნაწერებს სხვადასხვა თემაზე: „მე და გეოგრაფია", „გეოგრაფია და ფანტაზია", „მე რომ გეოგრაფიის მასწავლებელი ვიყო", „გვერდით მეგობარი მიზის", „როდის არ მოგწონს მასწავლებელი?" „რას აფასებ ადამიანში?" (სწორედ ამ ნაწერებიდანაა ამოკრეფილი აქ ციტატების სახით მოყვანილი სტრიქონები).

ფოტოებსა და კინოფირებზე, რომელთა უმეტესობა თვით ნორა მასწავლებლის გადაღებულია, აღბეჭდილია სკოლაში ჩატარებული ყველა საგულისხმო ღონისძიება, ყველა ღირსსახსოვარი დღე, გეოგრაფიის სექციის საინტერესო საქმიანობა და მაინც მათ რიცხვში საქართველოს მთა-ბარში, ველ-მინდვრებსა და გზებზე გადაღებული კადრები ჭარბობს. საკუთარი გატაცება ნორა მასწავლებელმა მოსწავლეებსაც გადასდო და ლამის მთლად დაატარა ხევსურეთი, ლეჩხუმი, რაჭა, თრიალეთი, თბილისის შემოგარენი. ამ ლაშქრობებში, საველე ბანაკებში ერთობლივად გატარებული დროც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნაწილია.

ცალკე კუთხეში წყობისად ალაგია ალბომები, რომლებიც ნორა მასწავლებლის ყოფილი სადამრიგებლო კლასების თავისებური მატიანეა. ალბომებში სხვადასხვა განყოფილებებია — „ჩვენი ევოლუცია", „როგორ ფიქრობთ, შეიძლება ამის დავიწყება?" „აღარ შეგარცხვენთ", „განა სულ ვცელქობთ", გულახდილად, თამამად, უშუალოდ გამოთქვამენ მოსწავლეები პირად აზრს თავიანთ კლასზე, საკუთარ თავზე, იმაზე, თუ რა მოსწონთ და რა არა კლასში, თანაკლასელების ურთიერთობაში. სათუთად ინახავს ნორა მასწავლებელი ყველა ამ მასალას, რომელიც ასე ეხმარება მას ბავშვების შეცნობაში, მათი ხასიათის თავისებურებათა მიგნებაში, მათთან სწორი ურთიერთობის დამყარებაში. ხოლო ყოველივე ეს ნორა ტორიელაშვილს აუცილებლად მიაჩნია ნებისმიერი მასწავლებლისა და, მეტადრე, კლასის დამრიგებლისათვის. სკოლასთან დამშვიდობების დღეს მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ამ ფოტოების, ფირების, ნაწერების მეშვეობით თვალი გაადევნონ სკოლის კედლებში გატარებულ წლებს, აღიდგინონ, გაიხსენონ სასიამოვნო დღეები. ნორა მასწავლებელი მაშინაც უჩვენებს მათ თავის აღზრდილებს, როცა ისინი უკვე დაფრთიანებულები მოაკითხავენ ხოლმე გეოგრაფიის სანუკვარ კაბინეტს, და ამ დროს თითოეული მათგანი კიდევ ერთხელ აღნუსხავს ხოლმე საკუთარ თავში იმ კარგსა და კეთილს, რაც ნორა მასწავლებლის შეწევნით შეუძენია.

ბევრ, ძალიან ბევრ ყმაწვილს შეუყვარებია ნორა მასწავლებლის წყალობით გეოგრაფია, ბევრს გაღვიძებია ცოდნისწადილი, გაფართოებია გონებრივი თვალსაწიერი, მაგრამ კიდევ უფრო მეტს გაფაქიზებია სული, კიდევ უფრო მეტს უსწავლია პირდაპირობა და სამართლიანობა, დაუხვეწია საკუთარი მოქალაქეობრივი გრძნობები და შეგნება. ასობით ადამიანის ადამიანობის საფუძვლის ჩაყრაში მიუღია ნორა მასწავლებელს უშუალო მონაწილეობა. ხოლო ამ საფუძველში, როგორც წესი, სიკეთე, სინდისიერება, პატიოსნება, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა უპირატესობს. ყოველივე ამას კი ყველაზე უკეთ ისევ და ისევ მისი მოსწავლეები გრძნობენ და აფასებენ და ალბათ ამიტომ უყვართ მათ იგი გამორჩევით, ამიტომ სცემენ პატივს და უპირველეს მეგობრადაც ამიტომ მიიჩნევენ.

ობრივ იდეალად დარჩეს თავისი აღზრდილებისათვის მათთან სასკოლო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც. მოსწავლეებს ისინი უმთავრესად პირადი მაგალითით ზრდიან. ასეთია ენრიკოს და მისი მეგობრების თითქმის ყველა მასწავლებელი, ასეთია მისი მამა—სათუთი ინტუიციისა და ფაქიზი გრძნობის ადამიანი, რომელიც ამ თვისებების აღზრდას თავის შვილებშიც ძალზე ტაქტიანად ცდილობს; ასეთია მისი დედაც. რამდენიმე თვის მანძილზე წარმოებულ ამ დღიურებში ჩანს, როგორ ხდება პატარა ბიჭის პიროვნული ფორმირება. ამას თვალსაჩინოდ გვისურათებს ის კრიტერიუმები, რომლებითაც ენრიკო აფასებს თავისი მეგობრების ამა თუ იმ მოქმედებას. ჯერ კიდევ ყმაწვილურ ასაკში იგი უკვე არის ის ადამიანი, რომელსაც ყველა სიხარულისა და ტკივილის გაგებისა თუ თანაგრძნობის უნარი აქვს.

მარიამ ჭავჭანიძის მიერ მშვენივრად თარგმნილი ამ წიგნის ყველაზე მეტყველი მთხრობელი ბავშვის შთაბეჭდილებებია, ცოცხალი მაგალითები — პატიოსნებისა, კეთილშობილებისა, სამშობლოს სიყვარულისა, ამხანაგის გატანისა: თითოეული მათგანი ადამიანის მაღალზნეობრივ იდეალებთან გვაახლოებს, გვარწმუნებს იმ დიდი სიკეთის არსებობაში, რომლისკენაც ბავშვობიდანვე უნდა ვისწრაფოდეთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლავრენტი ჭიჭინაძე — 80



ექვსი ათეული წელიწადია, მოზარდი თაობის ღირსეული აღზრდისათვის უანგაროდ ღვწის ცნობილი საბავშვო მწერალი ლავრენტი ჭიჭინაძე. მისი საყმაწვილო მოთხრობების კრებულები: „სახსოვარი“, „თანაკლასელები“, „სათავე“, „თეთრა“, „გუგულეთის გორაზე“, „თანატოლები“, „მეკვლე“ და სხვები ნორჩი მკითხველის საყვარელი წიგნებია, რომლებიდანაც იგი ძვირფას კეთილშობილურ თვისებებს იძენს.

ლავრენტი ჭიჭინაძემ არაერთი მოთხრობა, ზღაპარი, მოგონება გამოაქვეყნა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე. იგი წლების მანძილზე ჟურნალ „პიონერის“ პასუხისმგებელი მდივანი იყო და თავისი წვლილი შეიტანა ამ ჟურნალის სრულყოფის საქმეში.

ახლახან ლავრენტი ჭიჭინაძეს დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

„პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავენ ღვაწლმოსილ მწერალს თავისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ ჯანმრთელობას და შემოქმედებით უბერებლობას.

მკითხველს ვთავაზობთ ლ. ჭიჭინაძის ახალ მოთხრობას.

## ხიზანი

მოთხრობა

შორიდან დავინახე.

იგი ჩემკენ მოდიოდა — ჩემი ძველი მეგობარი ალექსანდრე.

შეხვედრა იყო მხიარული.

მოვიკითხეთ ერთმანეთი.

ხელში წიგნი რომ დამინახა, გამომართვა.

— ეს წიგნი ახლა შეიძინე? — ისეთი ცნობისმოყვარეობით წარმოთქვა, ეტყობოდა, რაღაც გაახსენა ამ წიგნმა. ეს მისი გაბრწყინებული თვალებიდანაც ჩანდა. ფურცლავდა. ხან სად ჩაჰკიდა თვალი, ხან სად!

— სწორედ ახლა, — ვუპასუხე. — ჯერ არც გადამიშლია. ამას წინათ წავიკითხე შენი მშვენიერი წერილი ამ წიგნის ავტორზე.

ალექსანდრე წიგნს კი ფურცლავდა, მაგრამ თურმე მეც მისმენდა. ამას მაშინ მივხვდი, როცა თქვა:

— იმ წერილში არ მაქვს მოთხრობილი ჩემსა და ამ წიგნის ურთიერთობაზე.

დავინტერესდი.

წიგნი საუკუნენახევრის წინათ არის დაწერილი, ნეტავ ჩემს მეგობარს რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ან წიგნთან, ან მის ავტორთან?!

ამ ფიქრში რომ ვარ, ალექსანდრემ უკვე დაიწყო:

— ჩემთვის, როგორც ყველასათვის მთელს ჩვენს ქვეყანაში, მოულოდნელი იყო ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმა. გეხსომება: 1941 წლის 22 ივნისი კვირა დღე იყო.

მაშინ მე უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი ვიყავი. ორშაბათს ლექციაზე მიმელოდნენ სტუდენტები.

ჩემს თავს კითხვა დავუსვი: ლექცია თუ თოფი?

სამშობლო განსაცდელშია და, ცხადია, თოფი, მხოლოდ თოფი! — იყო ჩემი გადაწყვეტილება.

მეორე დღეს დილით ადრე ვიღაცამ ჩემი ბინის კარზე დააკაკუნა. გავუღე. უცნობმა კაცმა ქაღალდი გამომიწოდა, ეს უწყებაა, — მითხრა, — შესაკრებ პუნქტში გამოცხადდები.

უწყებაში ეწერა, სად უნდა გამოვცხადებულიყავი.

წავედი მაშინვე.

სამეთაურო კურსებზე გამგზავნეს.

მალე სამხედრო წოდებები მოგვანიჭეს. ზოგი უმცროსი ლეიტენანტი გახდა, ზოგი — ლეიტენანტი.

პირდაპირ ფრონტისაკენ გაგვისტუმრეს...

მტერი წინ მოიწევდა.

მე ვერ წარმომედგინა ჩვენი დამარცხება. მართალია, საბჭოთა ჯარები უკან იხევდნენ, მაგრამ ეს ხომ დამარცხება არ იყო. მათ იარაღი არ დაუყრიათ. დამარცხებული კი ის არის, ვინც იარაღს დაყრის, ხელს ასწევს.

ჩვენ ჯერ მატარებლით ვიმგზავრეთ.

მატარებელი მიქროდა დღეცა და ღამეც.

ერთ-ერთ სადგურში რომ გაჩერდა, ტალღასავით წამოვიდა ხმა:

— ჩავიდეთ, ჩავიდეთ!

მე და ჩემსავით ახალბედა ოფიცრები ჩამოვედით. რკინიგზის სადგურის წინ მანქანები გველოდნენ.

მალე მივედით დანიშნულების ადგილზე, დივიზიის შტაბში. გაგვანაწილეს პოლკების მიხედვით. პოლკში რომ მივედით, იქ კიდევ ბატალიონებში გაგვგზავნეს.

რამდენიმე თანაკურსელი ერთ ბატალიონში მოვხვდით.

მე ოცეული ჩამაბარეს.

ბატალიონის ასეულები კიევის მიმართულებით განვლაგდით.

პირველი საბრძოლო ნათლობაც აქ მივიღე.

რამდენიმე დღე და ღამე ვიბრძოდით იმ ერთ ადგილზე. მტერი გააფთრებით გვიტევდა. მივიღეთ ბრძანება, უკან, ახალ პოზიციაზე გადმოსვლის შესახებ.

ჩავსანგრდით.

ეს ადგილი ისეთი სიმაგრე მეგონა, საიდანაც თითქოს ვერავითარი ძალა ვერ ამოგვყრიდა. ვიბრძოლეთ რამდენიმე დღე. მტერმა არაერთხელ სცადა იერიშზე გადმოსვლა, მაგრამ ჩვენი მეტყვიამფრქვეველი მამაცურად უშენდნენ. ვხედავდი, როგორ იცელებოდნენ მოიერიშენი. გრიალებდნენ ზარბაზნები. ცაში თვითმფრინავების დუელი იყო გამართული. ერთი ყუმბარა ჩემი ოცეულის განლაგების მახლობლად დაეცა. თითქოს ვულკანმა ამოხეთქაო, მიწა, ქვა, ღორღი ვეება სვეტად აღიმართა.

იმ ბრძოლებში ბევრი დავკარგეთ.

ცეცხლი კი არ წყდებოდა.

კარგად რომ ჩამობნელდა, მხოლოდ მაშინ მიწყდა სროლის ხმა.

აი, ახალი ბრძანება:

„დაიხიეთ უკან, მხოლოდ უხმაუროდ. დაიკავეთ ახალი საბრძოლო პოზიცია!“

წინ წასვლას ველოდი და... უკან ვიხევთ...

ვიცი: უკან დასახევი მანძილი ძალიან დიდია, მაგრამ როდემდის? — ვეკითხები ჩემს თავს.

ალბათ, ასეა საჭირო.

ვიხევთ უკან, მაგრამ მტერს ძვირად უჯდება წინ წამოსვლა.

მოვედით ხარკოვთან.

ქალაქი დაცლილია.

აგერ საჯარო ბიბლიოთეკას წავადექით. როგორც ჩანს, ესეც დაუცლიათ. ვხედავ, გზაზე წიგნი გდია. დავსტაცე ხელი. წიგნი ქართული აღმოჩნდა. აი, მართლაც, საიდან სადაო. ჩემს მხედრულ ტვირთს ეს წიგნიც მიემატა.

ამის შემდეგაც ბევრი ვიარეთ ომის გზებზე მე და ჩემთან შემოხიზნულმა წიგნმა, მე მას თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი, ჩემთვის ვამბობდი:

„გადავრჩები? გადარჩება ეს წიგნიც!“

უკვე მდინარე ვოლგის ნაპირას ვართ.

სწორედ ამ დროს მთელ არმიას მოედო ბრძანება:

— ჩვენს უკან სავალი კიდევ დიდია, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ არის!

მაშ, ასე, დამთავრდა უკან დახევა!

შენც კარგად მოგეხსენება, ვოლგისპირა ქალაქის დამცველთა გმირობამ რომ მთელი მსოფლიო გააოცა.

და აი, დადგა ნანატრი ჟამი: დაიწყო წინსვლა!

მტკაველი მიწის დასაბრუნებლად თავგანწირული ბრძოლა გვიხდება. მტერი თითქოს ჩაკირულია სანგრებში.

მაინც მივიწევთ წინ!

დიდი ბრძოლით დავიბრუნეთ ხარკოვი. მახსოვდა, სადაც იყო ის საჯარო ბიბლიოთეკა, მაგრამ იქ სახლი აღარ იდგა, ნანგრევები იყო მხოლოდ.

წიგნი ჩემთან დარჩა...

აი, სწორედ ეს ძვირფასი წიგნი, დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“.

ულმობელ ომში ბევრი დაიხოცა. სამარადისო დიდება მათ!

მაგრამ ხომ გადარჩა კიდევ ბევრი...

იმ ბევრში ვართ ომგადახდილნი— მე და ეს ხიზანი წიგნიც.

მხატვარი
გივი პეტრიაშვილი



უ ც ხ ო ე თ ი

# 5.000 მცირეწლოვანი მკვლელი

უმუშევრობა, სიღატაკე, ძალადობისა და დამნაშავეობის ზრდა... არ არსებობს კაპიტალისტური წყობის მიერ წარმოშობილი არც ერთი უბედურება, რომ დრამატულად არ მოქმედებდეს დასავლეთის ქვეყნების პატარა მოქალაქეებზე. ქვემოთ დაბეჭდილ სტატიაში მოყვანილი ფაქტები თავისთავად უკვე მრისხანე მხილებაა იმ საზოგადოებრივი წყობისა, რომელიც ბავშვებს უკარგავს ბავშვობას, ამახინჯებს მათ სულსა და ბედს, შეუბრალებლად უბიძგებს მათ დანაშაულის გზაზე.

ბიჭს ჯიჯეტო ჰქვია. 13 წლისაა, დანაშაულებრივი მოქმედება კი 7 წლისამ დაიწყო.

ნეაპოლში წვიმიანი კვირადღის 2 საათია. მე სანიტას რაიონში ტაძრის მოედანზე ვდგავარ. ისიც ჩემს გვერდით არის მოპედზე დაყრდნობილი. ტანმორჩილი, შავთმიანი ბიჭუნა თავის ასაკზე ნაკლები ხნისა ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ხანმოკლე სიცოცხლე საძაგლად გაატარა. სუფთა სახე აქვს, მაგრამ თვალებში გაქრობია ის უცოდველობა და გულუბრყვილობა, მის ტოლ ნეაპოლელ ბიჭუნებს რომ აქვთ, რომლებიც ცხოვრების სახსარის საშოვნელად „ფინჯან ყავას" დაატარებენ კარდაკარ.

ჯიჯეტოს მხოლოდ სიკვდილი დააქვს. მამა უმუშევარია, დედა—ავადმყოფი, სახლში კი ბავშვების მთელი ჯგროა. ოჯახი ნახევარსარდაფში ცხოვრობს. ჯიჯეტო ოჯახს ეხმარება, ფულს შოულობს... მკვლელობით.

დიახ, იგი პროფესიონალი „კილერია" (რაც მკვლელს ნიშნავს) ისევე, როგორც მისი უფროსი ძმა კარმინე ლომბარდი, რომელიც მაფიამ დაიქირავა მატარებელში ბომბის ჩასადებად, — ასე მოეწყო 1984 წლის შობა დღეს სისხლიანი ტერორისტული აქტი.

ჯიჯეტოც გასამრჯელოსთვის კლავს — 500 ათას ლირას იღებს კაცზე და კიდევ დანამატს, თუ „საქმე" „სუფთად" ჩატარდება.

— ძალიან იაფია, როგორც ძველმანი ბაზარზე, — ჩივის ბიჭი — მაგრამ მომატებას ვერ ვთხოულობ, ნეაპოლში ძალიან ბევრი კონკურენტი მყავს.

პოლიციამ იცის „მოკლეშარვლიანი ბანდიტების" შესახებ, მაგრამ მცირე ასაკის გამო კანონით ვერ დევნის მათ. „ძალიან პატარები არიან გამასწორებელი ციხეებისათვისო", — მითხრეს პოლიციის სამმართველოში.

მაგრამ სწორედ ამის გამო იყენებენ მათ მაფიის ბოსები და, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მეტს.

პირველი, ვინც ამ გზაზე დააყენა ბავშვები, იყო რაფაელე კუტოლო. მან 1979 წელს შემოიკრიბა ასამდე ბავშვი, გააერთიანა ისინი სამხედრო ყაიდის რაზმებში და ჩაუტარა „სწავლების" კურსი.

კუტოლო „საქმის" სისრულეში მოსაყვანად აძლევდა ბავშვებს იმათ, ვინც მას ასეთი შეკვეთით მიმართავდა. შემკვეთები კი ძირითადად იყვნენ დანაშაულებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, პირველობისთვის მოქიშპე ბანდები.

ამრიგად, კუტოლომ დაქირავებული მკვლელის როლი იკისრა და თავისი კლიენტურისათვის მტკიცე ფასები დააწესა: მილიონი ლირა თავის ქვეყანაში მოკლულისათვის და 2 მილიონი, თუ მსხვერპლი საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

ერთი წლის მანძილზე მან მილიარდი ლირა „იშოვა" — 600 კაცის სიცოცხლის საფასური. მალე კუტოლომ გააფართოვა „საქმის" სფერო, ხელი მიჰყო ნარკოტიკებით ვაჭრობის, აზარტული თამაშის, ადამიანების მოტაცების ორგანიზაციას.

კუტოლოს თავხედობით თავმობეზრებულმა მოწინააღმდეგეებმა გადაწყვიტეს მისი დასჯა მისივე გამოგონებული მეთოდით, და ნეაპოლის შესახვევებში გაჩნდა რევოლვერებით შეიარაღებული უამრავი მცირეწლოვანი ბანდიტი.

რამდენიმე თვის წინათ პოლიციამ დააკავა ერთი ბიჭუნა, იგი ჯერ თერთმეტი წლისაც არ იყო და დავალებული ჰქონდა მოეკლა ერთი კომერსანტი, რომელმაც განგსტერებს უარი განუცხადა წილის მიცემაზე. ბიჭსთან ჰქონდა ვეება რევოლვერი — მაუზერი 357, რომლის ერთ გასროლასაც შეუძლია გააჩეროს დიდი სიჩქარით მიმავალი მანქანა. „გული მწყდება, რომ ვერ გამოვცადე ეს რევოლუცია", — თქვა ბიჭმა გზაში, როცა პოლიციელებს მიჰყავდათ.

ყველაზე შემზარავი შემთხვევა მოწმეთა თვალწინ მოხდა, ორი წლის წინათ ერთმა აი, ასეთივე ბიჭუნამ, რომელსაც სახეზე საკარნავალო ნიღაბი ეკეთა, სამი გასროლით თავისი სახლის კარებთან მოკლა ლუშჩანოს მერის მოადგილე.

„სულ ერთი ციცქნა ბიჭი იყო, — განაცხადა ერთ-ერთმა მოწმემ, — სროლით კი ქაჯივით ისროდა".

—მარჩენე იქნებოდა, — აზუსტებს ჯიჯეტო. — ის მხოლოდ ათი წლისაა, მაგრამ სროლაში ბადალი არა ჰყავს.

— ასეთი პატარები არიან ბანდიტური ჯგუფების რეზერვში,—ამბობს პარლამენტის წევრი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ანტონიო კარპინო. — თავიდან მათ იყენებენ ნარკოტიკების მცირე დოზების გამყიდ-

დასასრული იხ. გვ. 24.

# ველოსიპედი

მ უ რ ა დ  კ ე რ ძ ე ვ ა ძ ე

მხატვარი დავით ფაღავა

მ ო თ ხ რ ო ბ ა



ომი ის-ის იყო დამთავრდა. ქვეყანას ჯერ კიდევ უჭირდა და ყველამ, ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო, ენერგია გაიასკეცა. სოფელი უთენია იღვიძებდა და შეღამებამდე საბარავსათოხარში ღვრიდა ოფლს. ნელ-ნელა შუშდებოდა ომისაგან მიყენებული იარები. აქა-იქ ფრონტიდან დაბრუნებული ვაჟკაცების პატივსაცემად გამართული სუფრა იშლებოდა და გაუბედავი სიმღერის ხმები ისმოდა, სხვაგან ჯერაც არ ჩამდგარიყო საგულეს კვნესა-ოხვრით დამძიმებული ქვრივი თუ ობოლი გული.

პირადად მე განსაკუთრებით მითუთქავდა გულს კარის მეზობლის, აქვსენტი მეგრელიძის ოჯახის უბედურება — ერთადერთი შვილი, ყველასათვის საყვარელი შოთა, უგზოუკვლოდ დაეკარგათ ფრონტზე. მამამ წვერი მოუშვა, თეთრად გადაპენტილი თმა მხრებამდე სცემდა, ხუმრობით განთქმულსა და მოლექსე-მომაირე კაცს ახლა ენა ჩავარდნოდა და შემხვდურს სალამზე ძლივს აძლევდა პასუხს.

ბავშვებს მხიარულება ლამის გადაგვავიწყდა, თამაშიც კი გვეუხერხულებოდა. მხოლოდ მაშინ გავშლიდით მხრებს, როცა სოფლიდან მოშორებით, სუფსის ჭალაში ძროხებს გავდენიდით საბალახოდ. ფეხბურთი გვიყვარდა, კარის მაგივრად ოთხი სარი გვქონდა დასობილი, ბურთის მაგიერობას კი ძროხის ბალნისაგან დაგორგოლავებული და დაწნეხილი უფორმო სფერო გვიწევდა. ხანდახან „ლახტის" წრეში ვდგებოდით და წვივებს ვუწვავდით ერთმანეთს, ხან „მგელობიას" ვთამაშობდით, ხან კიდევ — „თვალხუჭობიას". მაგრამ ყველაზე უფრო „წითელდროშობია" მოგვწონდა. გავავლებდით ხაზს ბიჭები, გავიყოფოდით ორ ჯგუფად, ჩვენ-ჩვენი ტერიტორიის ბოლოში დარჭობილ ჯოხებზე ჩამოვკიდებდით წითელ ნაჭრებს და მიდი... ვისაც მაგარი მუხლი ჰქონდა, მტრის ბანაკში უნდა შეჭრილიყო და დროშა ისე გადმოეტანა, მოწინააღმდეგეს მისი „დაჭრა" ვერ მოეხერხებინა.

თამაშით დაღლილები სუფსის წყალში გადავეშვებოდით, მერე, გაგრილებულები, ცხელ ქვიშაზე დავეყრებოდით ხოლმე და აქ ფართოდ შლიდა მხრებს ჩვენი ოცნება. ჯუმბერია ბურძგლას ტრაქტორისტობა უნდოდა, ჯემალა ჟღენტს მფრინავობა მოსწონდა. კუკური სარიშვილი შოფრობაზე იყო გაგიჟებული, მე კი კარგად არ მქონდა მოფიქრებული ჩემი მომავალი პროფესია, მაგრამ მოტოციკლი რომ ჭკუას მაკარგვინებდა, ეს ყველამ იცოდა. მართალია, ამ ტკაცატკუცა მოტოციკლზე არც კი ვმჯდარვარ, მაგრამ მისი ასეთი სიყვარული ველოსიპედმა ჩამიგდო გულში, რომლის ტარებაც ჩვენი მეზობლის, ბენია მიქაბერიძის ძმისშვილმა მასწავლა. იგი ზაფხულობით ჩამოდიოდა ხოლმე ბიძამისთან ფოთიდან და ორთვლიანი ველოსიპედი ჩამოჰქონდა. პირველად ძალიან მიჭირდა ზედ თავის შემაგრება, ვერც საჭეს ვმართავდი ხეირიანად, მაგრამ მალე ისე მივეჩვიე, ხანდახან საჭესაც კი შევუშვებდი ხელებს და ისე დავაქროლებდი. აღმართში, როცა მართვა ჭირდა და პედლებიც ფეხებს კარგად არ ემორჩილებოდა, რამდენჯერ მიფიქრია, რა კარგი იქნება, ძრავა ჰქონდეს და თავისით მიდიოდეს, ხოლო მე მარტო საჭის მართვა მჭირდებოდეს-მეთქი. ასეთი კი მოტოციკლი იყო, რომელიც ერთ-ორჯერ მქონდა რაიონულ ცენტრში ნანახი. აი, ეს ფიქრები მეჯდა თავში და მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, გავიზრდები თუ არა, აუცილებლად მოტოციკლი მეყიდა. აბა, მაშინ ავტომობილი სად იყო, ათასში ერთხელ მოლაყლაყებული „ტონანახევრიანი" გაიფრუტუნებდა და ჩვენ, ბიჭები, პირდაღებულები შევცქეროდით, მერე კი, გონს მოსულები, ყიჟინით ავედევნებოდით უკან.

ველოსიპედი ჩვენს სოფელში მხოლოდ ფოსტალიონ მოსე ქარჩხაძეს ჰქონდა. დაიმაგრებდა საბარგულზე თავის დიდ, შავი ტყავის ჩანთას და დილაადრიან დაუყვებოდა გზას რაიონული ცენტრისკენ გაზეთებისა და წერილების ამოსატანად. მოსე ერთსა და იმავე დროს ჩამოივლიდა ხოლმე, მეც ჭიშკართან დარჭობილი ველოდი და თვალს ვერ ვაშორებდი კრიალა ველოსიპედს, რომლის პედლებს მოსე დინჯად ატრიალებდა და შარაზე წინწკლებიან კლაკნილ კვალს ტოვებდა. თავს იმით ვინუგეშებდი, გაზაფხულზე კვლავ ჩამოვა ბენიას ძმისშვილი შახია ველოსიპედით და ჯირითით გულს ვიჯერებ-მეთქი.

●

სოფელში ხმა გავარდა, რაიონულ ცენტრში, რკინიგზის მაღაზიაში ტარანი იყიდებაო. ბაბუაჩემი გიჟდებოდა ტყემლის საწებელში ამოვლებული მოხარშული ტარანისათვის და როცა ყური მოჰკრა მეზობლების ლაპარაკს, მიმიხმო, ფული მომცა

და ტარანის საყიდლად გამაგზავნა. შემოდგომის არდადეგები იდგა. დილა იყო. ცოტა ხნის წინ მოსემ ჩვენს ჭიშკართან ჩაიჭრიალა ველოსიპე-



დით. შურით გავაყოლე თვალი — ის სწრაფად ვალევდა ამ გზას, მე კი როდის-როდის ჩავაღწევდი ფეხით რკინიგზის მაღაზიაში.

მაღაზიას როცა მივადექი, ნოქარი შიგ ტრიალებდა, მაგრამ კარი ჯერ კიდევ გადარაზული ჰქონდა. ეტყობოდა, ჯერ გაღებას არ აპირებდა. მეც სადგურის ბაქანზე გავედი, თვალს წყალს დავალევინებ-მეთქი. ფოსტის შენობის კედელზე ველოსიპედი იყო მიყუდებული. ფანჯრიდან დავინახე, მოსე ოთახში იდგა, ცხვირზე სათვალე წამოესკუპებინა და გაზეთებსა და წერილებს მიითვლი-

და. ველოსიპედს მივესიყვარულე და საჭეს ნაზად გადავუსვი ხელი.

მაღაზია გაალეს. ტარანი ვიყიდე და გულმა ისევ ფოსტისკენ გამიწია, სადაც მოსეს ველოსიპედი მეგულებოდა. მოსეს ჩანთა გაებერა გაზეთებით, ველოსიპედის საჭე ხელით ეჭირა და მოაგორებდა, თვითონ კი ქვეითად მიჰყვებოდა. სადგურის მოსაცდელიდან ვიღაც კაცი გამოვიდა და გაღიმებული პირდაპირ მოსესკენ გაეშურა. როცა მიუახლოვდა, ხმამაღლა შესძახა:

— კაცო, მოსე არა ხარ შენ?

მოსემ თავი მიაბრუნა. სათვალის ზემოდან გადმოხედა და თვითონაც სიხარულით გაიბადრა:

— ვალიკო ხარ, კაცო? — ერთმანეთს გადაეხვივნენ და მასლაათს მოჰყვნენ. მე შორიახლო ვიდექი და მათი საუბარი კარგად მესმოდა. ჯერ ერთმანეთი მოიკითხეს, მერე ოჯახები, ბოლოს თავ-თავიანთი საქმიანობის ამბებს მოჰყვნენ. ბოლოს ვალიკომ კატეგორიულად განუცხადა მოსეს, ჩვენი შეხვედრა უნდა აღვნიშნოთო. მოსე შეყოყმანდა, ჩანთას გადახედა და საქმე მოიმიზეზა, წერილები და გაზეთები მაქვს დასარიგებელიო. ვალიკომ გაიცინა და ხელი ჩაიქნია:

— შე კაცო, ეგ გაზეთები და წერილები სად გაგექცევა, თითო ბოთლი ღვინო დავლიოთ და მერე დაარიგე. ხალხიც არ იქნება ახლა სახლში, დიდ-პატარა სამუშაოზეა გაკრეფილი. მეც კი არ მცალია ბევრი, ცოტა ხანში მახარაძის მატარებელს უნდა გავყვე ნატანებში!

მოსემ ფეხი აითრია, მაგრამ დიდი ხნის უნახავ მეგობარს ხათრი ვეღარ გაუტეხა და სადგურის სასადილოში შეჰყვა.

შეუმჩნევლად მივყევი უკან. მებუფეტე კარებში იდგა. ეტყობოდა, კლიენტებით არც ისე განებივრებული იყო.

— მობრძანდით, მობრძანდით, კარგი მწვანილი მაქვს, მწნილი, ყველი, მშვენიერ ცოლიკაურსაც მოგართმევთ! — ღიმილით მიეგება იგი სტუმრებს.

მოსემ ველოსიპედზე ანიშნა, სად გავაჩეროოო.

— აგერ დავაყენოთ, მოსე ბატონო! — მიუთითა მებუფეტემ და ველოსიპედი პატარა ფარდულში შეაგორა, სადაც ცარიელი ბოთლები და ყუთები ეყარა. მეგობრები მაგიდას მიუსხდნენ. ვალიკომ ორი ბოთლი კი არა, ოთხი მოითხოვა. მოსე შეწუხდა, წამოდგომაც კი დააპირა, მაგრამ ვალიკომ ხელი წაავლო და სიცილით უთხრა:

— რა არის, შე კაცო, ოთხი ბოთლი! ამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, დავსხდეთ და ვიჭუკჭუკოთ ცოტა ხანს!

მივხვდი, მოსეს და მის მეგობარს ქეიფი გაუგრძელდებოდათ. უცებ ვიფიქრე, მოდი, ველოსიპედს უჩუმრად გამოვიყვან და ცოტა ხანს გავატარ-გამოვატარებ-მეთქი. ფარდულში შევედი, ველოსიპედი გამოვაგორე და მოვახტი. მოსეს ველოსიპედი შახიას ველოსიპედზე დიდი იყო და პირველად გამიჭირდა მისი ტარება, პედ-

ლებს ძლივს ვწვდებოდი. მაგრამ მალე შევეჩვიე და ლაზათიანად გავაქროლე. ამასობაში რაიონულ ცენტრსაც გავცდი და შეუმჩნევლად ჩვენი სოფლის გზას დავადექი. იმდენად გამიტაცა ველოსიპედმა, რომ გავიფიქრე, რა მოხდება, სოფელი შორს აღარ არის, ბაბუაჩემს ტარანს მივუტან, ამ გაზეთებსა და წერილებს დავარიგებ, მანამდე მოსე და ვალიკოც ვერ მორჩებიან ქეიფს, და სასიკეთო საქმეს გავაკეთებ-მეთქი. ამ ფიქრში პირველ მოსახლეს, ჯიშკარიანს მივადექი უკვე. ჩანთა გავხსენი და დიმიტრის გაზეთები ჭიშკრის მავთულებში გავჩხირე. მერე როყვების ეზოში დავტოვე გაზეთები და წერილი, მერე — აფშილავებისას. იქ ბავშვები თამაშობდნენ ეზოში და იმათ მივეცი. ბავშვებს ცოტა კი გაუკვირდათ, მოსე რომ ვერ დაინახეს, მაგრამ არაფრის თქმა არ ვაცალე, მოვახტი ველოსიპედს და სწრაფად გავაქროლე.

ჩემს ეზოსთან ველოსიპედი ალვის ხეზე მივაყუდე, ბაბუას ტარანი მივუტანე და ვუთხარი, ჭალაში წავალ, ძროხას გადავუნაცვლებ-მეთქი. გამოვედი და კვლავ ველოსიპედს მოვაჯექი. აქვსენტის სახლს რომ გავუსწორდი, ჩანთა მოვჩხრიკე, რაღაც წერილი იყო მის სახელზე. გამიკვირდა, უცხოური მარკებით იყო აჭრელებული კონვერტი. ველოსიპედი ჭიშკარზე მივაყუდე და ეზოში გულისფანცქალით შევვარდი. სახლში არავინ დამხვდა. არც აივანზე ჩანდა ვინმე, არც ბოსტანში. კონვერტი მაგიდაზე დავდე და ეზოდან გამოვედი. რამდენიმე მოსახლელა დამრჩენოდა. მოსეს ჩანთა თხუთმეტ წუთში დავაცარიელე და რაიონული ცენტრისკენ მოვუსვი.

მოსეს და ვალიკოს კამპანიას კიდევ ორი კაცი შემატებოდა. მამაკაცები უკვე კარგად შეზარხოშებულიყვნენ. ვალიკოს მოსესთვის მკლავი მხარზე მოეხვია და გაიძახოდა: „გურულების სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო“... ალბათ ეგონა, ვმღერიო... ველოსიპედი ფარდულში შევაგორე და, სადაც იდგა, იქვე მივაყუდე, არავის შევუმჩნევივარ.

სოფლის გზას ფეხით დავადექი. როცა ჩემს ეზოს მივუახლოვდი, დავინახე, აქვსენტი მეგრელიძის ეზო ხალხით იყო სავსე. ბაბუაც იქ იყო, ცაცხვის მორზე ჩამომჯდარი, კმაყოფილი სახით, ყალიონს აბოლებდა. აქვსენტის ეზოდან გამოსულ მეზობლის ქალს ვკითხე, რა ამბავია-მეთქი.

— ბიჭის ცნობა მოუვიდა პოლონეთიდან, ნენა, ცოცხალი ყოფილა შოთაი, იწერება, ლაზარეთში ვწევარ, ჭრილობებს ვიშუშებ და მალე ჩამოვალო. გადარჩა ოჯახი! — თქვა ლიდა კუტალაიშვილმა და ცრემლი მოიწმინდა.

სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა ტანში, ეზოში აღარ შევსულვარ, პირდაპირ ჭალაში წავედი. ჩემი წაბლა დახვეულიყო პალოზე, ავუშვი, წყალი დავალევინე და ადგილი მოვუნაცვლე. აქვსენტის ოჯახის სიხარული ნელ-ნელა ჩემში გადმოდიოდა და ამ სიხარულს კიდევ ის მიორკეცებდა, რომ იმ წერილის მიმტანი მე ვიყავი.

შარაგზაზე გამოვედი თუ არა, მოსე დავინახე. ცოტა ფეხარეული მოდიოდა და ველოსიპედი ხელით მოჰყავდა. დაღონებული ჩანდა. ალბათ ეგონა, გაზეთები და წერილები დავკარგეო, ვიღაც ყალთაბანდმა უშნოდ იმასხრა, თორემ სხვისი წერილები და გაზეთები რაში სჭირდებოდაო. მინდოდა დავწეოდი და მენუგეშებინა, ნუ გეშინია, მოსე ბიძია, სოფლელების წერილები და გაზეთები მე დავარიგე-მეთქი, მაგრამ სანამ წამოვეწეოდი, ის უკვე აქვსენტის ეზოს გაუსწორდა. ვიღაცამ შესძახა, „აგერ, მოსეც მოვიდაო!“ დავინახე, აქვსენტი მეგრელიძემ მკლავები გაშალა და ჭიშკრისკენ წამოვიდა:

— მოსე ქარჩხაძევ! — დასჭექა მაღალი ხმით. — შენი ოჯახი გაახარა და გააძლიერა ღმერთმა ისე, როგორც შენ ჩემი ოჯახი გაახარე დღეს! ეს რა დღე გამითენე, რა ამბავი მომიტანე, შე კურთხეულო! — მისწვდა და მაგრად ჩაიხუტა. მე ვერ ვხედავდი, თორემ ალბათ ცრემლიც ჩამოუგორდა გაუპარსავ ლოყებზე.

მოსეს მეზობლები შემოეხვივნენ, ველოსიპედი ჩამოართვეს, ჭიშკართან მიაყუდეს. ფოსტალიონი თითქმის ძალით ჩაიყვანეს აქვსენტის ეზოში.

გაკვირვებული მოსე ქარჩხაძე გონს ვერ მოსულიყო. ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ხან აქვსენტის გადაეხვეოდა, ხან კიდევ მეზობლებს.

— კი მარა... როგორ, რანაირად... — ლუღლუღებდა გაკვირვებული. — როდის... საიდან... ვინ...

ვიღაცამ თქვა, ეტყობა ნაქეიფარია, ალბათ სხვებსაც მიუტანა კარგი ამბავი და იმათ დაალევინესო...

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ისეთი ბედნიერი ვიყავი იმ დღეს.



ნინო ხარაზიშვილი

თ. ცაგარელის ფოტო



# ჩვენი ძია ზურაბ მხატვარი

გიყვართ სურათებიანი წიგნები? თუმცა... რომელ ბავშვს არ უყვარს! მით უფრო მანამ, სანამ კითხვაში თვალს გაიწაფავდეს, მერე და მერეც ხარბად „კითხულობს“ ნახატებს, ვინძლო რომელიმე გარეგნული ნიშნით მათში ჩემი საყვარელი პერსონაჟი ამოვიცნოო. წიგნთან დამეგობრებაც ამას ჰქვია. ამიტომ არის, რომ ბავშვობის საყვარელ წიგნს ცხოვრების ვერანაირი ქარტეხილი ვერ გვავიწყებს.

ძია ზურაბი კი საბავშვო წიგნის მხატვარია, უფრო ზუსტად, მის, როგორც მხატვრის, შემოქმედებით ინტერესებში ძალზე დიდი ადგილი უჭირავს საბავშვო წიგნის გაფორმებას. ორ ათეულზე მეტი წელია, ემსახურება ნორჩებისთვის ლიტერატურის შეყვარების საქმეს. დიახ, დიახ, შეყვარების, რადგან წიგნის მხატვარი და, მით უფრო, საბავშვო წიგნისა, სხვა არავინაა, თუ არა ლიტერატურის პოპულარიზატორი, თუ არა შუამავალი მწერლისა და ბავშვის ხილვებსა და ფიქრებს შორის.... იგი აწყვილებს ამ ხილვებსა და ფიქრებს და დიდხანს, დიდხანს სამახსოვროდ ხდის პატარა სამყაროს, რომელსაც წიგნი ჰქვია.

ამ ბოლო დროს პატარა ბავშვის სიახლოვეს ყოფნის მოთხოვნილება მიჩნდებაო, იმ დღეს წამოსცდა ზურაბ ფორჩხიძეს. გაგვეღიმა. ხანდაზმულობას ვერ დასწამებ, ბაბუობის მოთხოვნილებას დაუსწრია... ან რა გასაკვირია, რომ კაცს, რომელიც ათეული წლებია, მუდამ რაღაც სიურპრიზს ამზადებს ბავშვებისათვის, პატარებთან ყოველდღიური ურთიერთობის მოთხოვნილება ეზრდებოდეს.

წიგნის გაფორმებისკენ სულ პირველად შემთხვევამ მიბიძგა, მერე გარშემომყოფთაც გამაქეზესო... ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის სპეციალობის დიპლომანტს გადაუწყვეტია დავით კლდიაშვილის მოთხრობების დასურათება. ეს იყო ლიტერატურულ მასალასთან მისი პირველი ბედნიერი შეხვედრა. ამ ნამუშევრის საერთო მოწონების თავისებური შედეგი ყოფილა ის, რომ გამომცემლობა „ნაკადულში“ თანამშრომლობა სთხოვეს. მთელი მონდომებით შესრულა ის პირველი შეკვეთა — ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ ილუსტრირება. მისდამი — ახალგაზრდა მხატვრისადმი გამოჩენილ პირველ ყურადღებაზე არანაკლებ მოულოდნელი გამოდგა მეორეც — ახლა ჟურნალ „პიონერის“ იმჟამინდელი მთავარი რედაქტორი, აწ განსვენებული რევაზ მარგიანი დაინტერესდა ახალგაზრდა გრაფიკოსთან შეხვედრით. ცოტაც და, „პიონერში“ დაიბეჭდა დავით კლდიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ვრცელი სტატია, გაფორმებული მწერლის მოთხრობების ფორჩხიძისეული, ზემოთხსენებული სადიპლომო ილუსტრაციებით. ასე დაიწყო.

უცნაურად შეუყვარდა პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე ერთ შენობაში, გვერდიგვერდ ოთახებში შეყუჟულ საბავშვო ჟურნალების რედაქციებში მისვლა. შეიხედავდა „დილაში“ და ისე როგორ მოხდებოდა, „პიონერის“ სამხატვრო რედაქტორს ბატონ გაიოზ ფოცხიშვილს მისი აქ ყოფნა არ შეეტყო; თუ ჯერ „პიონერს“ მოინახულებდა, „დილის“ მხატვარს, აწ განსვენებულ შალვა ცხადაძესაც არ ელოდა მისთვის შესაკვეთი სახელდახელო დასახატი. ასე დაიბადა ამ ჟურნალების ფურცლებზე გამოქვეყნებული საბავშვო მოთხრობებისა და ლექსების ზურაბ ფორჩხიძისეული მრავალრიცხოვანი ილუსტრაცია, „დილის“ ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემული ფერადი წიგნაკები, საბავშვო კალენდარი „მთიები“, „ნაკადულში“ გამოცემული ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრები“, „მუხლზე დაწერილი მოთხრობები“, „ცხრა მთას იქით“, დემნა შენგელაიას „ბათა ქექია“, მაყვალა მრევლიშვილის „შენ გიგალობ, პატარავ“, როდიონ ქორქიას „მარილის აკვანში“, დავით ჯავახიშვილის „ჩემი ნადავლი“, ივანე ტურგენევის „ასია“, მორის მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი“, ოვანეს თუმანიანის „ანუში“, ნოდარ დუმბაძის „აბა,

დელია, დელია“. ამ უკანასკნელის მხატვრულმა გაფორმებამ დიდი მოწონება დაიმსახურა—მოსკოვის 1975 წლის წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე „წიგნი მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში“ იგი სსრკ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წამახალისებელი დიპლომით დაჯილდოვდა. ახლა თქვენი სასკოლო სახელმძღვანელოების გასაფორმებლად გაწეული შრომაც ვთქვათ... ზურაბ ფორჩხიძის მიერ მშვენივრად გაფორმებული „კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურაში“. სხვადასხვა კლასების ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შესრულებული ილუსტრაციები: ილიას „კაკო ყაჩაღისა“, აკაკის „ჩემი თავგადასავლის“, ეკატერინე გაბაშვილის „თინას ლეკურის“... ახლა მერვე კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოზე აპირებს მუშაობას. მშობლიური ლიტერატურის სიყვარულს უთუოდ კიდევ უფრო გაგიმძაფრებთ მხატვრის მიერ შესრულებული იაკობ ცურტაველისა და, ვიდრე დავით გურამიშვილამდე, მისი მომდევნო პერიოდის დიდ მწერალთა პორტრეტები. მაგრამ... ეს მომავალი საჩუქარია, რომელსაც ძია ზურაბი გამომცემლობა „განათლებასთან“ ერთად გიმზადებთ, საჩუქარი კი, თქვენვე უკეთ იცით, თავისი გასახარებით აუცილებლად მოულოდნელი უნდა იყოს...

იშვიათია ოჯახი, „მსოფლიო ხალხთა ზღაპრების“ სერიის შესანიშნავი გამოცემები რომ არ ჰქონდეს. მასში კი თითქმის ვერ ნახავთ კრებულს, რომლის სუპერიც ზურაბ ფორჩხიძის მხატვრობით არ იყოს დამშვენებული. ხოლო სერიის პირველი მერცხლის—„იაპონური ზღაპრების“ ტომს თუ ჩახედავთ, წიგნის ფურცლებშუა შესანიშნავ ილუსტრაციებს იხილავთ—იაპონური ხალხის პატარა სულიერ პორტრეტებს... როგორც ამბობენ, ამ წიგნმა იაპონიის ქალაქ ოსაკაში გამართულ საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონის სტუმრების დიდი სიმპათიები დაიმსახურა.

მთელი შემოქმედებით არის დაკავშირებული რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე საბავშვო ლიტერატურასა და პრესასთან. თავად ამით კმაყოფილია. საბავშვო წიგნზე მუშაობამ მწერლის ჩანაფიქრისა თუ ნათქვამის და ბავშვის მოლოდინის ერთდროული გამოცნობა მასწავლაო, ჟურნალებთან თანამშრომლობამ — ექსტრემალურ სიტუაციებში დასახული მხატვრული ამოცანის სწრაფი გადაწყვეტა, ორივემ კი ილუსტრაციის შინაარსობრივი და ემოციური დატვირთვა ნაწარმოების ტექსტის დონეზე, მათი გაერთიანება, ურთიერთშერწყმაო... ნახატმა ტექსტისადმი ინტერესი უნდა გაუღვივოს და გაუძლიეროს მკითხველს, წიგნის სული და ხასიათი შეაცნობინოს, მწერლის სათქმელი გაანათოს და ლიტერატურა და მასთან ყოველდღიური კონტაქტი შეაყვაროსო: ასე სწამს ბატონ ზურაბს. აკი ამიტომაც არ ჩანს შემთხვევითი, რომ საბავშვო ლიტერატურის გაფორმებისათვის ასე ბევრს და დაუღალავად მუშაობს. დიახ, იგი, როგორც მწერლობის პოპულარიზატორი მხატვარი, შეგვახსენებს, თორემ ვინ არ იცის, ამ ჩვევებისა და სიყვარულის ბავშვობაშივე მოპოვება რომ დიდზე დიდი განძია?!

ცოტა ზემოთ რომ ვთქვით, საბავშვო წიგნზე მუშაობა მხოლოდ ერთი მხარეა ზურაბ ფორჩხიძის, როგორც მხატვრის, გრაფიკოსის შემოქმედებითი ინტერესებისა, სწორედ ეს, საქართველოს სხვა წიგნის გამომცემლობებთან მისი თანამშრომლობითი კონტაქტები ვიგულისხმეთ. ჩვენს ნათქვამს ჰოწმედ ისევ მხატვრის ნამუშევრები გამოადგება, კერძოდ: სიმონ გუგუნავას „თამარიანი“, რომლის მხატვრული გაფორმებისა და პოლიგრაფიული შესრულებისათვის ზ. ფორჩხიძემ პირველი რუსი მესტამბის — ივანე ფეოდოროვის სახელობის მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. ცოტა მოგვიანებით—„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ორიგინალური მხატვრული გაფორმებისთვის მოპოვებული წამახალისებელი დიპლომი...

იმ დღეს კი, საუბრისას თავისი ერთ-ერთი პირველი მასწავლებელი ალიოშა ტოგონიძე გაიხსენა... სულ მეუბნებოდა, ირგვლივ ყურადღებით მიმოიხედე და უამრავ თემას დაინახავო. ერთხელაც, აქაოდა, გულისყურიანი მოწაფე ვარო, ქუჩაში დანახული ერთი ასეთი სურათი ჩაუხატავს პატარა ზურაბს: ესესაა ნაყიდი ინდაური გაზეთში შეუხვევია ქალს, ოღონდ, „საერთო წესისამებრ“, ფეხებით კი არ დაუჭერია დაყირავებული, თაიგულივით მიუხუტებია მკერდზე. ბევრი აცინა იმ დღეს საყვარელი მასწავლებელი, მცირეოდენ კიდევაც გაახარა—იმედისმომცემმა მოწაფემ მაინც არ უმტყუნა ალიოშა მასწავლებელს, მხატვრის თვალი და ალღო იშვიათისა და არატიპიურის დანახვით მაინც გამოამჟღავნა.

მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა, ის განწყობილება კი იმ წლების სიშორიდანაც ბატონ ზურაბთან იშვიათად როდი მოდის, მით უფრო, როცა თავად არის უკვე პედაგოგი—თბილისის სამხატვრო აკადემიის სამრეწველო გრაფიკის კათედრის დოცენტი, უკვე თავად ემსახურება მომავალ მხატვართა პროფესიული წვრთნისა და სრულყოფის საქმეს, თანდათან აჩვევს სტუდენტებს იმ „მოულოდნელობებს“, რასაც პოლიგრაფიასთან ურთიერთობა არცთუ იშვიათად სთავაზობს მხატვარს...

—გაისად გაზაფხულზე საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში უნდა მოვაწყო ჩემი წიგნის ილუსტრაციების პერსონალური გამოფენაო... — ამბობს ამას და ჯანსულ ჩარკვიანთან თანამშრომლობით სულ პირველად გამოცემულ ფერად წიგნს „ცანგალა და გოგონას“ ფურცლავს, ერთ ლექსში მხატვართან შემოქმედებითად დამეგობრების გრძნობას თუ პირად სიმპათიებს დაუძლევია პოეტი — თავად ილებს საკუთარ თავზე ნორჩ მკითხველთან „ძია ზურაბ მხატვრის“ წარდგინებას და... იქნებ, ეს პატარა მოფერებაა ის ყველაზე დიდი ჯილდო, ურომლისობაც ვერ ეთმობა დღემდე მხატვარს.



# აისი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი

№ 1

## მე ასე მწამს

ძალიან ამაღელვა ახალმა სადისკუსიო თემამ. გადავწყვიტე, გამოვხმაურებოდი მას. დედამ შრომას პატარაობიდანვე მიმაჩვია. მავალებდა სოოჯახო საქმეებს, ჩაისაც მაკრეფინებდა, მას ხშირად ეუბნებოდნენ: მაგ პატარა ხელებს რა შეუძლიაო. დედა კი ამაყად პასუხობდა, მე მინდა, შვილს შრომა შევაყვაროო. ახლა მეხუთე კლასში ვსწავლობ, ვარ ფრიადოსანი. მაქვს პიონერული დავალება—რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ვარ, ამასთან, გაზეთ „ნორჩი ლენინელის" კორესპონდენტიც გახლავართ, აქტიურად ვმონაწილეობ რესპუბლიკურ პიონერულ აქციებსა და ოპერაციებში. 5 მაისს მიწვეული ვიყავი ტელევიზიის ნორჩკორთა სადისკუსიო გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი რაზმის ყველა პიონერმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მაკულატურის შეგროვებაში. მე მინდოდა, როგორც რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს, პირადი მაგალითი მეჩვენებინა პიონერებისათვის და 200 კგ მაკულატურა შევაგროვე. ყოველივე ამას იმიტომ ვწერ, რომ მინდა აღვნიშნო — პიონერულ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩემთვის ხელი არ შეუშლია სწავლაში. მე ასე მწამს — თუ მოსწავლე სწავლასა და შრომას წარმატებით უთავსებს ერთმანეთს, მაშინ არის იგი აქტიური პიონერი, მომავალი აქტიური კომკავშირელი, ჩვენი საზოგადოების აქტიური წევრი, ქვეყნის ღირსეული შვილი.

ლელა ჭელიძე,

მახარაძე, გურიანთის

საშუალო სკოლა, V კლასი.

## შემოდგომის გახსენება

მიყვარს შემოდგომა, ყვითლად შემოსილი ხეები, ფოთოლცვენა... იმ დღეს მზიანი დილა გათენდა. ირგვლივ შემოდგომის სურნელი ტრიალებდა. ჩამოკრეფას ელოდნენ ლო-

დასასრული. იხ. გვ. 18.

ველებად, ხოლო შემდეგ, თუ „თავს გამოიჩენენ", უფრო სერიოზულ საქმეებს ავალებენ, როგორც, მაგალითად, ჩვიდმეტი წლის კარმინე ლომბარდოს დაავალეს.

— კარგი ბიჭი იყო, — ახასიათებს ძმას ჯიჯეტო, — სანიტას რაიონის ბოსს ემსახურებოდა და, ვინ იცის, იქნებ სწორედ იმან მოაკვლევინა დავალების შესრულების შემდეგ, ზედმეტი მოწმე რომ არ ჰყოლოდა.

პოლიციის ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად 5 ათასი მოზარდი ეწევა ამგვარ საქმიანობას.

ვინ არიან ეს ბავშვები? რა უბიძგებს მათ ამ გზაზე?

ჯიჯეტოსა და მისი მსგავსებისათვის ეს არის სიღატაკე.—ოჯახისათვის ფული რომ მეშოვნა, — გვიამბო ჯიჯეტომ, — მე კონტრაბანდული სიგარეტების გაყიდვა დავიწყე, რვა წლისას ნარკოტიკების გასაღება დამავალეს და სახელმძღვანელოებში ჩაწყობილი ნარკოტიკების შეკვრები დამქონდა სკოლაში. მაგრამ ამაში ძალიან ცოტას მიხდიდნენ, ის ფული ბინის საფასურის მესამედიც კი არ იყო, ამიტომ ქურდობას მივყავი ხელი. შემდეგ სროლა მასწავლეს.

# შენი უცხოელი თანატოლები

# 5.000 მცირეწლოვანი მკვლელი

ახლა ჯიჯეტო ამ საქმის ოსტატია.

— ერთადერთი ბიჭი, ვისაც შეუძლია სროლაში მაჯობოს, რაფაელო ტურკოა, — ამბობს იგი სიამაყით, — მაგრამ რაფაელო ჩემზე უფროსია და თანაც ახლა ციხეშია.

ტურკოც კუტოლოს აღზრდილია. „მე რომ დავიჭირავე, ჯერ პირზე რძე არ შეშრობოდა — ტრაბახობდა ეს „პროფესორი". ბიჭმა სათამაშოები რევოლვერით შეცვალა და... ციხით დაამთავრა. თუ ყველაფერი კარგად იქნება, ტურკო ციხიდან 2033 წელს უნდა გამოვიდეს.

ჟან პაოლო როსსეტი

## გარიყული ბავშვობა

სწორედ ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, როცა გაეცნობი იმ სამწუხარო სტატისტიკას, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა „ნიუ-ორკ ტაიმს მეგეზინში".

„ჩვენს ქალაქში ეპიდემიასავით ვრცელდება სიღატაკე.—წერს ნიუიორკის ქალაქის პრეზიდენტი ენდრიუ სტაინი. ქალაქში ბავშვების თითქმის 40 პროცენტი, ეს კი 700 ათასი გოგონა და ბიჭუნა, ისეთი ოჯახების შვილები არიან, რომელთა შემოსავალი სიღატაკის ოფიციალურ დონეზე დაბალია. 10 ათასი ბავშვი ცხოვრობს თავშესაფრებში. გასულ წელს ქალაქის ხელისუფლებამ 12 ათასი ბავშვი ჩამოართვეს მშობლებს. დედ-მამას არ შეეძლო ბავშვების რჩენა, ანდა სასტიკად ეპყრობოდა მათ".

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე იმ ბავშვების რიცხვი, რომლებიც სიღარიბის ოფიციალურ დონეზე უარესად ცხოვრობენ, 12-დან 25 პროცენტამდე გაიზარდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეისათვის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ყოველი მეოთხე ბავშვი ღამე მშიერი წვება.

„ზა რუბეჟომ"

ყაწითელი ვაშლებითა და ქარვისფერი მსხლებით დახუნძლული ხეები, ვენახები—ჩაშაქრებული ყურძნის მარცვლებით.

მე დედ-მამას ყოველთვის ვეხმარებოდი ვენახის მოვლაში, შარშან შემოდგომაზეც მიწა ბუნებრივი სასუქით გავამდიდრეთ და გადავბარეთ. მერე იყო და გაზაფხულზე ვაზს ძირები გავუსუფთავეთ და გავთოხნეთ, შემდეგ უვარგისი ლერწი მოვაცილეთ და თოკებით ავაკარით... განსაკუთრებით რქაწითელსა და ციცქას ველოლიავეთ. ჩვენ კი ველოლიავეთ, მაგრამ ონავარმა ჩიტებმა აღარ მოუსვენეს, მთელი დღე ვენახში იყვნენ. მაშინ გადავწყვიტე, როგორმე დამეფრთხო ისინი...

მეზობლიანთ გიგა მოვიშველიე. ერთნაირი ზომის ჯოხები გამოვთალეთ, ბებოს ძველი კაბებით მოვრთეთ. ცოტაც და.. ჩიტუნებისათვის რამდენიმე „საფრთხობელა“ გვქონდა მზად. „ჩვენი ნაშრომი“ ზარზეიმით ვენახში გადავიტანეთ და მეორე დღის გათენებას გულისფანცქალით დაველოდეთ. არ ვიცი, კარგად მოვიქეცით თუ არა, მაგრამ, დამიჯერეთ, ჩვენს ვენახში ჩიტები აღარ ჩაფრენილან...

ელისო ძიძიშვილი,
ტყიბული, მე-7 საშუალო
სკოლა, V კლასი.

## ია

ნაზი ვარ და საამო,
ლურჯთვალება ია,
ბუჩქის ძირას ამოველ,
ნეტა ვინ მჯობია?
ყველა მე მეფერება
და სიამით მყნოსავს,
ლექსიც დაუწერია
ჩემზე ცნობილ მგოსანს.

## წინდები

ერთხელ ჩემმა ბებიკომ
მომიქსოვა წინდები,
ფუმფულები, თეთრები,
როგორც თოვლის ფიფქები.

ირინა შოშიაშვილი,
თბილისი, 69-ე საშუალო
სკოლა, III კლასი.

## მე ვინა ვარ

მე ვინა ვარ?
ხუნდი თეთრი მტრედის,
იასამნის ნორჩი ტოტი ერთი,
მზე-სამშობლოს ხვალინდელი
დღე ვარ,
საქართველოს ცის და მიწის
ტყვე ვარ;
მე ვარ მარად
დაუმცხრალი სული,
მე ვარ იგი,
ვისაც მკერდში უცემს
დიდი რწმენით ანთებული გული.

ხივარ აგაზოვა,
გარდაბანი, სართიჭალის
მე-2 საშ. სკოლა, X კლასი.

## ირგვლივ მიმოვიხედოთ

ძალიან დამაინტერესა ჟურნალ „პიონერში“ წამოწყებულმა დისკუსიამ თემაზე „მოსწავლის საზოგადოებრივი აქტიურობა“. საზოგადოებრივი აქტიურობა, ჩემი აზრით, თითოეული ბავშვისთვისაა აუცილებელი. აქტიური მოსწავლე ყოველთვის შრომისმოყვარეა, სწავლაც უყვარს და საზოგადოებრივი დავალებების შესრულებაც, უფროსების მხარში ამოდგომაც.

თქვენ წერთ, ბიჭები განსაკუთრებით გაურბიან ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობასო.. ბიჭების უმეტესობაზე ეს საყვედური მართლაც ითქმის. არიან ისეთებიც, ზომაზე მეტადაც რომ ცელქობენ, მაგრამ თუ დავალებას მისცემ, ხალისით შეასრულებენ. ამგვარი ბიჭები, ერთი შეხედვით, თითქოს ნაკლებად აქტიურები ჩანან, მაგრამ, სინამდვილეში, საქმის მოყვარულები არიან. ასეთები კლასშიც არაერთი გვყავს. ჩემი აზრით, მათი წახალისებაა საჭირო. აი, მაგალითად, ჩემმა თანაკლასელმა არჩილ ბერიძემ გამორჩეულად ცელქმა ბიჭმა, როგორც კი კლასის ღირსების საკითხი დადგა, საუკეთესო შედეგებს მიაღწია ჩაის ფოთლის კრეფაში. ეს ერთი მაგალითია, ამგვარ ფაქტებს და კიდევ უფრო თვალსაჩინოებსაც ყველა ჩვენგანი მოიძიებს, ოღონდ ირგვლივ კარგად უნდა მიმოვიხედოთ, დავაკვირდეთ თითოეულ ჩვენს ამხანაგს, მოვნახოთ მათი დაინტერესების ახალი ფორმები.

მანანა ახვლედიანი,
მახინჯაურის ქართული
საშუალო სკოლა, VI კლასი.



—რამდენი სოკოა!

თათია პაპალაშვილი, 4 წლის.

კლასგარეშე



ინფორმატიკა

განყოფილებას ხელმძღვანელობს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ჰ. მელაძე

ტერმინი „ინფორმატიკა“ ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ შემოიღეს ფრანგებმა, იგი სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში,

სხვადასხვა მოვლენის შესასწავლად ინფორმატიკამ შემოგვთავაზა ორი ძირითადი მეთოდი: მათემატიკური მოდელირებისა და სახეთა გამოცნობისა. მათემატიკური მოდელირების მეთოდის შესახებ უკვე ვისაუბრეთ, ამჯერად გაგაცნობთ სახეთა გამოცნობის მეთოდს. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანის თავის ტვინი მთელ რიგ ინტელექტუალურ ფუნქციებს ასრულებს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია დამახსოვრება, სახეების გამოცნობა, წარსულის აღდგენა. თავის ტვინის ამ ფუნქციებს სახეთა გამოცნობის საშუალებით მანქანური მოდელირება წარმოგვიდგენს. აი, ასე დადგა მეცნიერთა წინაშე ადამიანის თავის ტვინის ზოგიერთი ფუნქციური მოქმედების მანქანური იმიტაციის — ადამიანისა და მანქანის შემოქმედებითი თანამშრომლობის ამოცანა. განვიხილოთ ამ პრობლემის დღევანდელი მდგომარეობა.

# სახეთა გამოცნობა

XIX საუკუნის ერთ გამოჩენილ ფიზიკოსს უთქვამს, თუ ფიზიკოს-ექსპერიმენტატორი ააგებს ისეთ არასრულყოფილ ოპტიკურ ხელსაწყოს, როგორიც ადამიანის თვალია, იგი უნდა მოიკვეთოს მეცნიერებიდან, როგორც უნიჭო და არაფრის მაქნისი. დღეს კი, სწორედ ამ შეფასების საწინააღმდეგოდ, მეცნიერები თვლიან, რომ ბუნებრივი სისტემების უპირატესობა ტექნიკურთან შედარებით არსად არ ვლინდება ისე აშკარად, როგორც ხედვის აპარატში.

რამ გამოიწვია შეხედულებათა ამგვარი დიამეტრული შეცვლა? უთუოდ იმან, რომ გასულ საუკუნეში მეცნიერებს თვალი აინტერესებდათ, როგორც მხოლოდ ოპტიკური სისტემა. ამ შემთხვევაში თვალი ფოტოაპარატის ობიექტივს შეიძლება შევადაროთ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს შედარება მისთვის ყოველთვის მომგებიანი იყოს. ხოლო დღევანდელ მეცნიერთა დაინტერესების საგანია თვალის უნარი, აღიქვას არა მარტო გარესამყაროს ცალკეული ობიექტები, არამედ გამოიცნოს სახეები, მოახდინოს ობიექტთა კლასიფიკაცია. ეს კი, შეიძლება ითქვას, ადამიანის ნებისმიერი ინტელექტუალური ქმედების საფუძველია. სახეთა გამოცნობა თითოეული ჩვენგანისათვის ჩვეულებრივი ამბავია და ამიტომ თითქოს ველარც კი ვათვითცნობიერებთ ამ პროცესის მთელ სირთულეს. ადამიანს, რა თქმა უნდა, ყოველთვის და სრულიად დაუძაბავად შეუძლია იცნოს თუნდაც გარკვეული დროის მანძილზე უნახავი ნაცნობი ადამიანი. აშკარაა, რომ იგი მას სცნობს იმიტომ, რომ ამ პერიოდში ნაცნობის გარეგნობაში მომხდარი ცვლილებები უმნიშვნელოა. აი, სწორედ ეს არის არსებითი და გადამწყვეტი სახეთა გამოცნობის პრობლემაში. მაგრამ როგორ უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან პრობლემის ეს არსებითი და სხვა არაარსებითი ნიშნები ან როგორ ავუხსნათ ისინი მანქანას? როგორ და რა ნიშნებით უნდა აღვწეროთ ობიექტები (ხშირად ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულიც, მაგალითად, ცხოველი და ბურთი) მანქანურ ენაზე? რა ალგორითმებით უნდა მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია? როგორ ვასწავლოთ მანქანას ნაცნობი, უკვე ერთხელ ნანახი ობიექტების „ცნობა“?

აი, პრობლემები, რომელთაც შეისწავლის სახეთა გამოცნობის თეორია. გამოცნობის მეთოდებისა და ალგორითმების გამოყენებისთვის ცალკეულ ობიექტთა სახეს განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. თავისი პრაქტიკული მნიშვნელობით სახეთა გამოცნობაში ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ სამი სხვადასხვა შემთხვევა: ვიზუალური სახეების გამოცნობა, ბგერითი სიგნალების გამოცნობა და ობიექტთა კლასიფიკაცია.

ვიზუალურ სახეთა გამოცნობა სახეთა გამოცნობის კერძო შემთხვევაა, როდესაც გამოსაცნობ სიგნალებს ბრტყელი გამოსახულებები წარმოადგენს. ეს ამოცანა ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების შექმნისთანავე წარმოიშვა და ძალზე დიდ მნიშვნელობას იძენს, როდესაც გვჭირდება გამოსახულებათა დიდი რაოდენობის (ტექსტების, აეროფოტოსურათების და ა. შ.) დამუშავება კომპიუტერის საშუალებით. ვიზუალურ სახეთა გამოცნობის ამოცანაში ყველაზე მარტივია გარკვეული შრიფტით ნაბეჭდი ციფრებისა და ასოების გამოცნობა. ასეთ შემთხვევაში ყველაზე ოპტიმალური მეთოდია მანქანაში ე. წ. ეტალონების წინასწარ შეყვანა და შემდეგ ყოველი გამოსაცნობი ასოს ან ციფრის ამ ეტალონებთან შედარება. ეტალონები გამოსაცნობი ასოებისა და ციფრების იდეალიზებული გამოსახულებებია. შედარების პროცედურა მარტივია და მდგომარეობს გამოსაცნობი გამოსახულების რამდენიმე პარამეტრის მნიშვნელობის გაზომვასა და შემდეგ მიღებული შედეგების ეტალონურ მნიშვნელობებთან შედარებაში. გამოსაცნობი გამოსახულების მნიშვნელობა რომელი ეტალონის მნიშვნელობებსაც დაემთხვევა, მანქანის მეხსიერებაშიც მისი შესაბამისი კოდი გადადის. ამ პრინციპზეა აგებული საფოსტო ინდექსების წამკითხველი ავტომატიც.

ასეთი ავტომატების ნაკლი, მათი პრინციპული განსხვავება ადამიანის თვალისაგან, ადვილი შესამჩნევია. მაგალითად, საფოსტო ინდექსის შევსებისას საკმარისია არ დავიცვათ ნიმუშში მოცემული ციფრების ზომები და ფორმები, რომ ავტომატი ველარ წაიკითხავს მათ. ადამიანის თვალისთვის კი, მოგეხსენებათ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არც ციფრების ზომებს, არც მათ ფორმას და არც მათ განლაგებას, იმას, საფოსტო კონვერტზე გავლებული ხაზების მიმართ მკაცრად ჰორიზონტალურად თუ რაიმე კუთხით იქნება ეს ციფრები განლაგებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გ ი ვ ი   ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე

### თეთრი ბატკანი

რად წაგლიჯეს დედა ცხვარს
თეთრი ბატკანი?
და რად მიჰყავს ნეტავ სხვას
შავი მანქანით?

რას პეტელებს ბატკანი,
შიშით გამქრალი?
— სად არისო სარქალი,
ჩემი სარქალი?..

უკან დარჩა ფარა და
მაღალი მთები,
სულ მთლად დაპატარავდა
ძარაში გდებით.

— მეეო! მეეო! — ცრემლსა ღვრის
თეთრი ბატკანი, —
სად ხარ? — დედას ეძახის
გულის კანკალით.

მიილია გზადაგზა
მწვანე ნაძვნარი
და გამოჩნდა ლამაზი
თეთრი ტაძარი.

ირგვლივ სივრცეს აყრუებს
ხალხის ყაყანი,
იისფერ ცას გაჰყურებს
თეთრი ბატკანი.

იგრძნო კვამლის და ხორცის
სუნი საზარი.
წამწამებზე ჩამოსდის
ცრემლი ღვარ-ღვარით.

მიეფარა მაღალ მთას
მზე გულგამწყრალი,
„რა უეცრად დაღამდა!" —
ფიქრობს საწყალი.

ბნელში ბოროტი თვალი —
კრთის ნაკვერცხალი,
და შველას გვთხოვს ბატკანი,
შიშით შემკრთალი.



## ლ ი დ ა   ს ხ ვ ი ლ ი ა

(გორდის დადიანების ყოფილი საგარა-
კო ტყე-პარკიდან გალივებული რკო წა-
მოვიღე თბილისში, ყვავილის ქოთანში
ჩავრგე და აღმოცენდა)

### ქოთნის მუხა

ერთხანს გამხმარ ბალახებში
ეგდე ისე,
როგორც კენჭი...
დარების და
წვიმის შემდეგ
მზეს დაუწყე მორცხვად კრეჭა...
გამოგიჩნდა თეთრი გული,
ჩრდილი გაჩნდა რაღაც ეჭვად,
დაგაცხრა და შენს თეთრ ლებანს
დაუპირა ყვავმა შეჭმა...
— ქში... — შევძახე,
ავაფრინე,
მტრისგან ასე დაგიცავი,
დაგიხსენი,
წამოგიღე,
დაგაპკურე
ნამი, ცვარი...
...რომ დაგხედავ
ქოთნის ობოლს,
შეირხევი,
იწყებ ფოფინს;
ჯერ ციცქნა ხარ,
დასალევად
ორი წვეთი წყალიც გყოფნის...
ბუმბერაზი ჯიშის ხეო,
რას გეყოფა ჩემი სახლი...
დაგასახლებ ჩვენს დიდ ბაღში,
ვიდრე წვეროს ჭერს მიახლი...
გაგზრდი მუხად (ნუღარ შიშობ)
დიდი მუხის,
დედა-მუხის
ნასათუთებ
ციცქნა პირმშოს!

სრულიად განსხვავებული და ბუნებრივ სისტემებთან უფრო მიახლოებულია სახეთა გამოცნობის პერცეპტრონული სისტემები. უმარტივესი პერცეპტრონული სისტემა შედგება სამი ტიპის ელემენტებისაგან: მგრძნობიარე S ტიპის, მაანალიზებელი A ტიპისა და გადაწყვეტილების მიმღები R ტიპის ელემენტებისაგან.

### უმარტივესი პერცეპტრონული სისტემა

S ტიპის ელემენტები ადამიანის თვალის ფსკერზე მოთავსებულ უჯრედებს შეიძლება შევადაროთ. აქაც, როგორც თვალის ფსკერზე, ხდება გამოსახულების პროექცირება. A ტიპისა და R ტიპის ელემენტები კი ადამიანის თვალის ნერვში მოთავსებულ მაანალიზებელ უჯრედებს შეიძლება შევადაროთ. თვითონ სახეთა გამოცნობის პროცესიც ძალიან ჰგავს ადამიანის მიერ სახის გამოცნობის პროცესს. განა საინტერესო არ არის, როგორ სწავლობს თოთო ბავშვი სხვადასხვა საგნის ერთმანეთისაგან გარჩევას? როგორ ასხვავებს იგი სათამაშო კუბიკებსა და თოჯინას? გამოცნობის „დასწავლის" ეს პროცესი შეიძლება შემდეგნაირად აღვწეროთ: სათამაშოებთან თავის ყოველდღიურ ურთიერთობაში ბავშვი ხედავს თავისგანვე მრავალჯერ ერთმანეთისაგან განსხვავებულ კუბიკებსა და თოჯინებს, ამავე დროს, ესმის ამ საგნების აღმნიშვნელი სიტყვები — „კუბიკები", „თოჯინა". შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მის მეხსიერებაში




პერცეპტრონული სისტემა

ჩამოყალიბდება ამ ობიექტთა კლასების (კუბიკები, თოჯინები) აღმნიშვნელი ცნება ანუ რაღაცნაირი აღწერა, რისი საშუალებითაც შემდეგ ის ცნობს ნებისმიერ თოჯინას, რომელიც „დასწავლის" პროცესში შეიძლება არც ენახოს.

მსგავსი პროცესი მიმდინარეობს პერცეპტრონულ სისტემაშიც. S ტიპის ფოტომგრძნობიარე ელემენტებზე მიეწოდება სისტემას ობიექტის გამოსახულება. ელემენტები იმისდა მიხედვით აღიგზნებიან (ე. ი. მათში გამომუშავდება სიგნალი) ან არ აღიგზნებიან, მოხვდება თუ არ მიმღებ ზედაპირზე სინათლე. მათს მიერ გამომუშავებული სიგნალები კი A ტიპის ელემენტებს გადაეცემა. კავშირები S და A ტიპის ელემენტებს შორის ნებისმიერი შეიძლება იყოს. ასევეა A ტიპის ელემენტებშიც, იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდენობის S ტიპის ელემენტებიდან მოვიდა სიგნალი ან, საერთოდ, გამომუშავდება იგი თუ არა. გამომუშავებული სიგნალები გადაეცემა R ტიპის ელემენტს, რომელიც A ტიპის ელემენტის მსგავსად მუშაობს. ამრიგად, პერცეპტრონული სისტემის შესასვლელზე ნებისმიერი გამოსახულების პროექცირებისას გამოსასვლელზე ან გვექნება სიგნალი, ან არ გვექნება. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ იგივე კუბიკებისა და თოჯინების გამოსახულებებს ვაწვდით პერცეპტრონულ სისტემას და გვინდა, რომ სისტემის გამოსასვლელთან კუბიკების გამოსახულებებზე მივიღოთ სიგნალი, თოჯინების გამოსახულებებზე კი არა. თუ ამას მივაღწევთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისტემა ასხვავებს ერთმანეთისაგან ამ ორი ობიექტის კლასებს. „დასწავლის" პროცესი აქ „ნიშნავს" კავშირების შეცვლას S და A ტიპის ელემენტებს შორის, თვით A ტიპის ელემენტების რაოდენობის ცვლილებას და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიდგომით მრავალი პრაქტიკული ამოცანის ამოხსნა გახდა შესაძლებელი, ჯერჯერობით იგი მაინც ვერ იქცა უნივერსალურ მეთოდად, რომელიც მთლიანად გადაჭრიდა სახეთა გამოცნობის პრობლემას; მკაცრად, მათემატიკურად დაამტკიცებდა, რომ ასეთ პერცეპტრონულ სისტემებს შეუძლიათ მხოლოდ მარტივი ტიპის ობიექტების ერთმანეთისაგან განსხვავება, რთულ გამოსახულებათა გარჩევა კი არ შეუძლიათ. ეს ფაქტი იმაზეც მიუთითებს, რომ ადამიანის თვალში მიმდინარე პროცესები გაცილებით რთულია და მისი ასეთი მარტივი სახით წარმოდგენა (როგორც ეს ხდება პერცეპტრონულ სისტემებში) არ შეიძლება.

რთული გამოსახულებების კომპიუტერის საშუალებით გამოცნობისათვის იყენებენ ე. წ. რთულ გამოსახულებათა ანალიზის მეთოდს. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს რთულ გამოსახულებათა დაშლაში უფრო მარტივი, სტანდარტული ტიპის გამოსახულებებად და ობიექტის მათი საშუალებით აღწერაში. მაგალითად, გეომეტრიული ფიგურები შეიძლება მონაკვეთებისა და კუთხეების საშუალებით აღვწეროთ. მაშინ ოთხკუთხედის სამკუთხედისაგან განსასხვავებლად საკმარისია, ერთმანეთს შევადაროთ ამ ობიექტების მონაკვეთებისა და კუთხეების რაოდენობა, განსხვავება მათ რაოდენობებს შორის მოგვცემს განმასხვავებელ ნიშნებს.

ასეთი მიდგომისას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ნიშნების საშუალებით აღვწერთ ობიექტებს, ანუ როგორია სტანდარტული ტიპის გამოსახულებები. რაც უფრო შევეცდებით ფართო კლასის ობიექტების აღწერას, მით უფრო გართულდება აღწერის ენა და შესაბამისად — გამოცნობის პროცედურაც, ამავე დროს იგი ნაკლებად ეფექტური გახდება. აღსაწერი ობიექტების სიმრავლის შემცირებით კიდევ უფრო გამარტივდება აღწერის ენა, გაიზრდება გამოცნობის პროცედურის ეფექტიანობა, თუმცა იგი უფრო სპეციფიკური, მხოლოდ ერთი, ვიწრო კლასის ობიექტების გამოცნობისკენ მიმართული გახდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, წარმოიშვება გამომცნობი პროცედურის უნივერსალობისა და მისი ეფექტიანობის შეთავსების პრობლემა.

ცხადია, ასეთი პრობლემა ბუნებრივ სისტემებში არ გვხვდება. ადამიანის თვალი მაღალეფექტიანი და უნივერსალური სახეთა გამომცნობი სისტემაა. ეს გვიჩვენებს, რომ მეცნიერება ჯერ კიდევ შორს არის სახეთა გამოცნობის პრობლემის სრული გადაჭრისაგან, რომ, როგორც ჩანს, ბუნება სახეთა გამოცნობისას ისეთ პრინციპებსაც იყენებს, რომლებიც ჩვენთვის ჯერაც უცნობია და რომელთა ანალოგებიც ჯერ არც ერთ ტექნიკურ სისტემაში არ გვხვდება.

**ზურაბ ქოჩლაძე**

# მოდელირების მოყვარულთათვის

ვფიქრობთ, „პიონერის" მკითხველთა შორის მოდელირების, კერძოდ, გემთმოდელირების მოყვარულნიც არიან. სწორედ აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, რამდენიმე მიკრომოდელი შემოგთავაზოთ ასაგებად. ამისათვის კი მოვიშველიეთ ცნობილი პოლონელი გემთმოდელისტის, სტანისლავ კატცერის წიგნი „ფლოტი ხელისგულზე".

ვიდრე უშუალოდ მოდელების აგებას შეუდგებით, საჭირო იქნება რამდენიმე სასარგებლო რჩევასა და ზოგად მითითებებს გაეცნოთ.

კატცერის წიგნში მოყვანილი ყველა მოდელის ნახაზი შესრულებულია მასშტაბით 1:500, ე. ი. მათი ზომა გემის რეალურ ზომაზე 500-ჯერ მცირეა. თითოეულ ნახაზზე წარმოდგენილია ხედი გვერდიდან, ზევიდან, ცხვირიდან, კიჩოდან, გრძივი ჭრილი და განივი კვეთები. ნახაზი ჯერ კალკის ქაღალდზე გადაიტანეთ, შემდეგ კი მოდელისთვის მომზადებულ მასალაზე. სამუშაოდ ყველაზე უკეთესია თხმელისა და ცაცხვის მერქანი, თუმცა შეგიძლიათ გამოიყენოთ არყის ხეც,

გაგრძელება 30-ე გვ.

# სახელოვანი გმირი ფარსმან-ფარუხი

ვახტანგ გორგასალს თავის მხედრობაში არაერთი მებრძოლი გოლიათი ჰყავდა. მათ შორის გამოირჩეოდა ერთი, რომელსაც ფარსმან-ფარუხი ერქვა. იგი ფარნავაზიანთა სამეფო გვარის ერთი განშტოების შვილიშვილთაგანი იყო. ვახტანგ გორგასალიც მას, როგორც სისხლისმიერ ნათესავს, დიდ მებრძოლს, თანაც მის ერთგულსა და მისანდობელ რაინდს, გვერდიდან არ იშორებდა. ერთად აღზრდილებს ერთმანეთის რიდიცა ჰქონდათ და სიყვარულიც.

ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო ვახტანგ გორგასალი, როდესაც სპარსთა მეფემ იგი სპარსეთში გაიწვია და მთელი რვა წელიწადი თავისთან ამყოფა. სპარსელებმა დიდი ბრძოლები გადაიხადეს სინდეთსა თუ ინდოეთში, სადაც ვახტანგ გორგასალმაც გამოიჩინა თავი. მის გვერდით იბრძოდა ფარსმან-ფარუხიც. ამიტომ მას ზოგჯერ ფარსმან სპარსსაც ეძახდნენ ხოლმე.

საქართველოში დაბრუნებულ ვახტანგ გორგასალს არ გადაუხდია არც ერთი ბრძოლა, რომელშიც ფარსმან-ფარუხს არ მიეღოს მონაწილეობა. ბუმბერაზების შერკინებისას პირველი სწორედ ის გადიოდა თურმე ასპარეზზე.

ფარსმან-ფარუხი მცხეთის მკვიდრი ყოფილა. დიდი მოისარ-მოასპარეზე, უშიშარი და შემმართებელი, ქართლის სამეფოში გამოჩენილ კაცად ითვლებოდა. თავისი ახოვანებით, ღონითა და გულადობით ყველას აოცებდა. „ამისდა ვერავინ დადგნეს ბრძოლასა შინა, რამეთუ მრავალი ლომი ხელითა შეეპყრა," — გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრების" მემატიანე ჯუანშერ ჯუანშერიანი.

ვახტანგ გორგასალმა, რომელიც თექვსმეტი წლისა გამეფდა, მხედრობით განვლო გზანი დარიალისა და მდინარე თერგზე გავიდა. მდინარის გაღმა მხარეზე მას დახვდნენ ოსნი და ხაზარნი. ისინი გაერთიანებულიყვნენ ქართველთა მხედრობასთან საბრძოლველად.

შვიდ დღეს იდგა მდინარეზე პირისპირ ორივე მხედრობა. იყო ბრძოლა ბუმბერაზთა ისეთი, რომ არც ერთი ტოლს არ უდებდა მეორეს. ფარსმან-ფარუხმა მტრის არაერთი გოლიათი დაამარცხა.

ხაზართ ბოლოს თავისი გოლიათი, სახელად თარხანი გამოიყვანეს.

შეექმნათ ქართველთ თათბირი და გამორჩევა. ქართველთა მეფემ ბრძანა: „დროა, ჩვენს გოლიათებს მეც შევეშველო".

— არა, — უთხრა ფარსმან-ფარუხმა, — ბრძოლას მე დავასრულებ. შენ მეფე ხარ, სამეფოს სჭირდები, მე თუ გინდა დავმარცხდე, სხვა გოლიათები გამოჩნდებიანო.

დაჰყვა გოლიათის ნებას მეფე.

თერგის პირას მოდგა ხაზარი ბუმბერაზი თარხანი და მაღალი ხმით დაიძახა: „გეტყვით თქვენ, სპათა ვახტანგისთა, ვინცა არს თქვენ შორის უძლიერესი, გამოვიდეს ბრძოლად ჩემდა".

გავიდა ბრძოლად ფარსმან-ფარუხი. პირველად კი სძლია თარხანს, მაგრამ მერე, დაღლილს, ბედმა უმუხთლა, დაეცა. იგლოვა მეფემ, იგლოვეს სპათა მისთა, „რამეთუ არავინ დარჩა მათ შორის მსგავსი ფარსმან-ფარუხისი".

ველარ მოითმინა მეფემ მისი ერთგული რაინდის დაცემა, ბრძოლით გაეგება თარხან გოლიათს და ჰოროლის დარტყმით განგმირა იგი. მიეტივნენ ქართველნი მტერს, დაამარცხეს და გაფანტეს.

სახელოვანი გმირის, ფარსმან-ფარუხის ცხედარი წამოასვენეს და მამა-პაპათა სავანეში დაკრძალეს — არმაზში. მისი სახელი თავის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა" ქება-დიდებით მოიხსენია ჯუანშერმა.

**ვახტანგ სიდამონიძე**

მხატვარი გივი პეტრიაშვილი






# კოცონი

კლუბს ხელმძღვანელობს საქართველოს პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი
ნათელა ფაილოძე

## შთაბეჭდილებები და... „ოკეანეში" მიღებული წრთობა

შთაბეჭდილებების გაზიარება.

სიტყვას ვაძლევთ მადინასა და ნინოს:

●

შორეულ აღმოსავლეთში უსურიის ყურესთანაა გაშლილი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პიონერთა ბანაკი „ოკეანე". მწვანეში ჩაფლულ მის შემოგარენს წყნარი ოკეანის ტალღები ელერსება. აქ ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსული პიონერ-მოსწავლეები ისვენებენ. ეს მთელი პიონერული რესპუბლიკაა!

ამ ბანაკში გასული წლის აგვისტო-სექტემბერში გაიმართა ნორჩ ტურისტთა საექსპედიციო რაზმების მეთაურთა საკავშირო შეკრება. ექსპედიციის „საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლოა" მონაწილეთა შეკრებაზე საქართველოდან ჩასულნი იყვნენ 14 საექსპედიციო რაზმის მეთაურები — ჩვენი რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაციის საუკეთესო აქტივისტები:

კასპის რაიონის სოფელ კოდისყურის სკოლიდან ხათუნა ტეხაშვილი, ბათუმის მე-14 სკოლიდან ირაკლი ხარაძე, ოჩამჩირის მე-2 სკოლიდან შოთა შარანგია, სოხუმის მე-10 სკოლიდან ასთამურ ლაბახუა, თბილისის 106-ე სკოლიდან ანდრეი ლავჩინოვსკი, ტყვარჩელის მე-2 სკოლიდან დიმიტრი დუნდუა, თბილისის 130-ე სკოლიდან ნინო ნადირაშვილი და ნინო ბეგლარიშვილი, ცხინვალის მე-7 და მე-8 სკოლებიდან ალან კოზანოვი და ალან ქორთიევი, თბილისის 158-ე სკოლიდან მადინა კორაევა, ახალციხის პირველი სკოლიდან ნინო დონაძე, ქუთაისის მე-10 სკოლიდან მაკა კახიძე და ქობულეთის რაიონის ჩაქვის სკოლიდან მაია დოლიძე.

ჩვენი „კოცონის" ირგვლივ შემოკრებილი პიონერული აქტივისათვის საინტერესოდ ჩავთვალეთ „ოკეანეში" მიღებული

„ოკეანეში" ხელცარიელნი არ ჩავსულვართ, ყველას გვქონდა მომზადებული მოხსენება, რომელშიც თანატოლებს მოვუთხრობდით რესპუბლიკის პიონერთა და კომკავშირელთა მუშაობაზე საექსკურსიო-ტურისტულ რაზმებში. შოთა შარანგიამ თავისი ნაშრომი ენგურჰესის მშენებლობასა და მის მშენებლებს მიუძღვნა. ხათუნა ტეხაშვილმა თავისი სოფლის ბუნებაზე ისაუბრა, იმაზე, თუ როგორ პროპაგანდას უწევენ „წითელ წიგნს". ამ წიგნის „მეგზურობით" როგორ იცავენ მშობლიური სოფლის ფლორასა და ფაუნას.

დიმიტრი დუნდუამ ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლაში ტურიზმის განვითარების ისტორიის შესახებ მოამზადა ნაშრომი. ამ სკოლის საექსკურსიო-ტურისტული წრე ხომ 25 წელიწადს ითვლის; ასთამურ ლაბახუამ „ოკეანეში" შეკრებილთ საექსპედიციო რაზმ „აბრსკილის" მოგზაურობაზე მოუთხრო — დიდი სამამულო ომის დროს კავკასიის მისადგომებთან გამართული ბრძოლების ნაკვალევზე.

ანდრეი ლავჩინოვსკიმ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ისტორია გააცნო თანატოლებს, ირაკლი ხარაძემ აჭარაში მისი რაზმის მიერ შესწავლილ ქართულ თაღოვან ხიდებზე უამბო. ჩვენ კი გავაცანით ბუნებაზე ფენოლოგიური დაკვირვებების შედეგები, ვუამბეთ ჩვენი დედაქალაქის ისტორიულ-რევოლუციურ ადგილებზე, ავლაბრის ყოფილ არალეგალურ სტამბაზე. შეკრებას წარვუდგინეთ რევოლუციონერთა ნაკვალევზე ჩვენი რაზმის წევრების მიერ შეგროვილი მასალები.

„ოკეანეში" გატარებული დღეები პიონერული წრთობის სკოლად მივვაჩნია; აქ ღრმად ჩავწვდით პიონერულ მუშაობაში აქტივის როლსა და მნიშვნელობას. ამ ბანაკში მოხვედრილი ყველა პიონერი პირველი დღიდანვე მისი სრულუფლებიანი „მოქალაქე" ხდება, რადგან ჩასვლისთანავე ამის დამადასტურებელ წიგნაკს გადასცემენ; წიგნაკის გარეკანზე მეზღვაურის მაისურიანი და წითელყელსახვევიანი ბიჭუნა ახატია. იგი ხომალდის საჭესთან დგას. საჭეს „ოკეანე"

# მოდელირების მოყვარულთათვის

დასასრული. იხ. გვ. 28.

ფიჭვიც და წიფელიც. მასალად დაგჭირდებათ ფირფიცრები, (ფორშტევენისა და საჭისათვის), ბამბუკი (ანძების, რეების, ბუშპრიტების, გაფელებისა და გიკებისათვის). იალქნებისათვის უმჯობესია თეთრი სახატავი ქაღალდი იხმაროთ, თუ გინდათ, რომ ისინი მოყავისფრო იყოს, ჩაის მაგარ ნაყენსა ან წყლით გაზავებულ ყავისფერ ტუშში დაასველეთ. ალბათ თვითონვე მიხვდებით, რომ მუშაობის პროცესში დაგჭირდებათ ლურსმნები, წებო (უმჯობესია სადურგლო), მავთული, პენოპლასტი, საღებავები. და, რაღა თქმა უნდა, იარაღები — ბეწვა ხერხი, დანა, მაკრატელი, ბრტყელტუჩა, სხვადასხვა სახის ქლიბები, სახაზავები, ჩაქუჩი, სადგისი, ფუნჯები, პინცეტი, ზუმფარა, დრელი.

დასაწყისისთვის ასაგებად გთავაზობთ ორი ეგვიპტური პაპირუსის ნავის მოდელს (მასალად ძაფით შეკრული ფიჭვის წიწვები და ბალახის ფოთლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ).

1. იალქანი პირველად მდინარე ნილოსზე გამოჩენილა. ნილოსის იალქნიანი ნავის უძველესი გამოსახულება მოცემულია ლარნაკზე, რომელიც ვარაუდით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3200 წელს მიეკუთვნება. ძველ ეგვიპტეში გემთმშენებლობისთვის ვარგისი ხეები ცოტა ყოფილა და ამიტომაც ნავებს პაპირუსის შეკონილი ღეროებისგან აგებდნენ. უფრო ხშირად ეგვიპტელები ამგვარ ნავებს მწვანედ, ყვითლად ან ცისფრად ღებავდნენ.

ნავის რეალური ზომის ძირითადი მონაცემები: სიგრძე — 14 მ, სიგანე — 3,8 მ. არ დაგავიწყდეთ მოდელირების დროს შეფარდება 1:500.

2. მეორე გახლავთ ნავი „რა". თქვენ ალბათ იცით, რომ ცნობილმა ნორვეგიელმა მოგზაურმა ტურ ჰეიერდალმა გადაწყვიტა დაემტკიცებინა საკუთარი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ძველი ეგვიპტელები თავიანთი პაპირუსის ნავებით ატლანტიკის გადალახვით სამხრეთ ამერიკის ნაპირებს აღწევდნენ. ამისათვის ჩადის ტბაზე მისი პირადი მეთვალყურეო-

აწერია, იქვე წარწერა გვაუწყებს: „აქ, წყნარი ოკეანის სანაპიროზე, საკავშირო პიონერთა ბანაკ „ოკეანეში“ იკრიბებიან მხოლოდ რაზმეულთა საუკეთესო წარმომადგენლები. ბანაკში ყოფნის მოკლე დროში ბევრი რამ უნდა მოასწრო, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძინო ცოდნა და ისწავლო მუშაობა ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშის მიხედვით. გაეცნო ამ მხარის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს, დაისვენო და მეგობრები შეიძინო“.

... „ოკეანეში“ გატარებული არც ერთი დღე არ ჰგავს ერთმანეთს, არასოდეს დაგვავიწყდება ქალაქი ვლადივოსტოკი, სადაც ყვავილები მივიტანეთ ვ. ი. ლენინის ძეგლთან; არც ბანაკ „ოკეანის“ მოედანზე გამართული მეგობრობის საღამო, არც მუშაობა სექციებში: „ლენინი ახლაც ყველა ცოცხალზე მეტად ცოცხალია“, „ბრძოლებში იცავდნენ თავიანთ სამშობლოს;“ ძალიან დაგვაინტერესა ინტერკლუბში გამართულმა შეკრებამ „ლენინის სახელი ჩვენს დროშაზე“ და სტუმრობამ ვლადივოსტოკის გემთმშენებელ ქარხანაში, შეხვედრებმა მეზღვაურებთან წყნარი ოკეანის წითელდროშოვანი ფლოტის ხომალდზე, ვლადივოსტოკის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აქტივისტებთან; სტუმრობამ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის სამეცნიერო ცენტრებსა და არსენიევის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მონაწილეობამ ტურისტულ შეჯიბრებებში... ამას დაემატა შეხვედრები მხარის მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის წარმომადგენლებთან და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

„ოკეანის“ პიონერულ რგოლებში, რაზმებსა და რაზმეულებში საინტერესო დიალოგებიც იმართებოდა. მაგალითად, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარიმართოს პიონერული მუშაობა, რა უნდა გაკეთდეს, რომ აქ მუშაობა თითოეული პიონერისთვის საინტერესო გახდეს, რომ თითოეულმა სწორედ პიონერულ წლებში გამოიწრთოს ხასიათი, განიმტკიცოს დამოუკიდებლობა.

„ოკეანეში“ ხშირად გვქონდა საინტერესო საუბრები, ბევრს ვკამათობდით იმაზე, თუ რაზე ვოცნებობთ, რა მიზანს ვისახავთ... ერთი ასეთი შეკითხვაც დაგვისვეს: „13 წელი! — ცოტაა ეს ადამიანისათვის თუ ბევრი — „ოკეანეში“ თითქმის სულ ამ ასაკის პიონერები ვიყავით შეკრებილნი.

ოქსანა პეტროვა თვლიდა, რომ 13 წლის ადამიანმა უკვე უნდა იცოდეს, რას ფიქრობენ, რაზე ოცნებობენ პლანეტის ადამიანები, რა აღელვებთ მათ და რა სურთ; ისიც თქვა, 13 წლის ასაკში ადამიანი უკვე გრძნობ, რომ დიდი ხარ და გენდობიან... ირინა ბობრიშევამ კი მოკლედ მოჭრა: მაგალითად, მე ვიცი, რომ ბევრი უნდა ვიკითხო გაზეთები, ჟურნალები და წიგნები, არ უნდა გამოვტოვო საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ არც ერთი გადაცემა, რადგან საერთაშორისო პოლიტიკის ბევრ საკითხში არც თუ ისე კარგად ვერკვევით... უფროსკლასელმა პიონერმა ლარისა ლანგმა გულახდილად განაცხადა, სკოლაში ყოველთვის კარგ შეფასებას ვერ ვიღებ, ზოგჯერ დისციპლინაშიც მემდურიან, არადა, ოქტომბრელებისათვის პიონერი ყოველთვის სამაგალითო ხომ უნდა იყოსო...

სონია ტროფიმოვამ თავისი ფიცხი ხასიათი გარდამავალ ასაკს დააბრალა, მეგობრებს სთხოვა, დამეხმარეთო, ანდრეი კედროვმა სანუკვარი ოცნება გაგვიმხილა, მე უკვე გადავწყვიტე აუცილებლად სამხედრო ოფიცერი გავხდე და ვცდილობ, უფრო მეტი გავიგო ამ პროფესიის შესახებო.

დამშვიდობებისას, თითქოს ჩვენი დიალოგების გაგრძელებაც იყო და შეჯამებაც, ლარისა ხელმძღვანელმა რომ დაგვარიგა: დრო უქმად არ დაკარგოთ და ყველა კარგი ოცნების ახდენას მოასწრებთო. გახსოვდეთ, თქვენს ბანაკს, სადაც მთელი ერთი თვე გაატარეთ და დამეგობრდით, „ოკეანე“ ჰქვია. ისევე, როგორც ზღვაში გასულ ხომალდზე, აქაც — ბანაკის „კაიუტებში“ თუ „გემბანზე“, „ოკეანის“ თითქმის მთელს ტერიტორიაზე წყნარი ოკეანის სანაპირომდე, თითოეული თქვენგანი „ვახტზე“ იდგა და აკი ყველაფერშიც წესრიგი იყოო; „ოკეანეში“ სწავლის, შრომის, ლაშქრობის თუ სხვა საქმიანობის დროს იწრთობოდა თქვენი ხასიათი. სასურველ ზურგის ქარს ვუსურვებ, მეგობრებო, თქვენი ხომალდის აფრებს, თქვენ კი — ბედნიერ ცურვას პიონერეთშიო.

ისევე, როგორც „არტეკში“, აქტივისტები „ოკეანეშიც“ ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ ხვდებიან. მაგრამ აქ მიღებული ცოდნა, ხასიათის წრთობა, შეძენილი მეგობრობა მთელი სიცოცხლის მანძილზე მიჰყვება თითოეულ მათგანს. ჩვენ ვერ დავივიწყებთ „ოკეანეს“.


მადინა კორაევა,
თბილისი, 158-ე სკოლის მოსწავლე,
ნინო გეგლარიშვილი,
თბილისი, 180-ე სკოლის მოსწავლე,
ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის წრის წევრები.


ბით და მისი მითითებებით აიგო პაპირუსის ნავი, რომელსაც ეგვიპტელთა მზის ღმერთის პატივსაცემად ჰეიერდალმა „რა“ უწოდა. ნავმა 55 დღე იცურა და 3000 საზღვაო მილის გავლის შემდეგ ჩაიძირა. მეორე ექსპედიციისათვის ჰეიერდალმა ახალი ნავი ააგებინა.



ხედი ცხვირის მხრიდან




ხედი კიჩოს მხრიდან



ხედი ცხვირის მხრიდან



ხედი კიჩოს მხრიდან

„რა-2“-მა წარმატებით იცურა; საფიდან გასულმა ნავმა მეორე მხრიდან მიაღწია ბრიჯტაუნს. ამჟამად „რა-2“ ოსლოს მუზეუმში იმყოფება.

ნავის რეალური ზომის ძირითადი მონაცემები: სიგრძე — 17 მ, სიგანე — 5,2 მ, იალქნების ზედაპირი — 48 $მ^2$.

შეფერილობა: ნავი და კარავი — ჩალისფერი, ანძა — მერქნის ბუნებრივი ფერი, იალქანი — წითელი, თეთრი წრით (მზის ღმერთის სიმბოლო).

გთავაზობთ რა მოდელების ნახაზებს, იმედი გვაქვს, რომ მოგვწერთ, მოგწონთ თუ არა, გაინტერესებთ თუ არა ეს ჩვენი წამოწყება, გაქვთ თუ არა სურვილი, გაეცნოთ სხვა სახის მოდელებს?





თუ ხის ტაბურეტს ხრახნები მოერყა, შეგიძლია ისინი ასე გაამაგრო: ორმილიმეტრიანი ბურღით ხრახნი გვერდიდან გახვრიტე ბოლომდე, ტაბურეტის ფეხი კი შუამდე, ხრახნს წებო წაუსვი, თავის ადგილას ჩასვი და ლურსმნით ჩაჭედე.

●

ელექტროგაყვანილობის შეკეთებისას თუ საიზოლაციო ლენტი ხელთ არ აღმოგაჩნდა, ელსადენს პოლიეთილენის აპკი შემოახვიე, იგი ასანთის ცეცხლით გაალღვე და გალღობილი, გახურებული მასა სადენების გადაბმის ადგილას წაუსვი.

●

ყვავილების, ბოსტნეულის ფაქიზად გასამარგლავად მოხერხებული ინსტრუმენტი მიიღება სამშენებლო კავისაგან. კავი გადაჭერი და ტარში ჩაბურღულ ნახვრეტში ჩასვი, შემდეგ რკინის სალტე შემოუჭირე.

●

საბავშვო ელექტროამომწვავი შეგიძლია პოლიეთილენის აპკის შესადუღებლადაც გამოიყენო. თუ გინდა ამ აპკით რაიმე საბუთის შენახვა, ეს საბუთი მოათავსე აპკის ორ ნაჭერს შორის, შემდეგ ფოლადის სახაზავის გამოყენებით, ელექტროამომწვავით ნაჭრებს კიდეები ჩამოაჭერი: ერთდროულად მოხდება ჩამოჭრაც და შედუღებაც.

●

რეზინის საწოვარათი კედელზე მიკრული სასაპნე დროთა განმავლობაში ჩამოვარდნას იწყებს. ეს იმიტომ ხდება, რომ რეზინი ბერდება, ელასტიკურობას კარგავს. თუ გინდა საწოვარას ელასტიკურობა დაუბრუნო, მას სოლიდოლი (ტაოტი) ან სხვა მინერალური ზეთი წაუსვი. ამის მერე სასაპნე არ ჩამოვარდება.

●

ოდესმე გისინჯავს დაბლაგული მაკრატლის ალესვა? ალბათ ასე მოიქეცი: პირები ჯერ წვრილმარცვლოვანი აბრაზიული ძელაკით აულესე, მერე კი ერბოქვით აუწყვე. მაკრატლის პირი ასეთ დროს ისეთია, გაპარსვა შეიძლება, ქაღალდს კი ვერ ჭრის. რატომ?

საქმე ისაა, რომ ძალზე წმინდად ალესილი მაკრატლის პირები საგანს (ქაღალდს, თმას) კი არ ჭრიან, არამედ აისხლეტენ, ამოაგდებენ. ამიტომ მაკრატელი მსხვილმარცვლოვანი აბრაზიული ძელაკით უნდა ალესო, თან ძელაკი დახრილი კუთხით უნდა უსვა ბოლოდან ღერძისაკენ. პირზე წარმოქმნილი უწვრილესი ირიბი კბილები თითქმის გაახლებენ შენს მაკრატელს.






# სარჩევი


გ. ძნელაძე — მრავალ ახალ წელს (ლექსი) . . . გარეკ. 2
ვ. ასლამაზიშვილი — კომკავშირო, მოდის საიმედო ცვლა! (ნარკვევი) . . . 2
ა. მეგრელიშვილი — ლექსები . . . 5
ა. ლორია — ეს დაუდეგარი არდადეგები (მოთხრობა) . . . 6
მ. გელაშვილი — რა კარგია, რომ ნორა მასწავლებელი არსებობს! (წერილი) . . . 13
ა ხ ა ლ ი  წ ი გ ნ ე ბ ი . . . 14
ლ. ჭიჭინაძე — ხიზანი (მოთხრობა) . . . 16
შენი უცხოელი თანატოლები . . . 18
მ. კერძევაძე — ველოსიპედი (მოთხრობა) . . . 19
ნ. ხარაზიშვილი — ჩვენი ძია ზურაბ მხატვარი (წერილი) . 22
ა ი ს ი . . . 24
ზ. ქოჩლაძე — სახეთა გამოცნობა (წერილი) . . . 26
გ. ჭიჭინაძე — თეთრი ბატკანი (ლექსი) . . . 27
ლ. სტვილია — ქოთნის მუხა (ლექსი) . . . 27
მ ო დ ე ლ ი რ ე ბ ი ს  მ ო ყ ვ ა რ უ ლ თ ა თ ვ ი ს . . . 28
ვ. სიდამონიძე — სახალხო გმირი ფარსმან-ფარუხი (წერილი) 29
„კ ო ც ო ნ ი“ . . . 30
გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი . . . 32
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . გარეკ. . . 3



გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ნანა იაშვილისა



მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.



რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-31, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 25.11.86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.01.87 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 9^{1}/_{3}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 2742. ტირაჟი 160000 ეგზ., უე 04327

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

**«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.**
**Выходит один раз в месяц на грузинском языке.**
**Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.**
**Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.**
**Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.**
**Формат $60 \times 90^{1}/_{3}$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.**
**Тираж 160.000 экз. Цена 20 коп.**



© „პიონერი“, 1987 წ.

## კროსვორდი



**შვეულად:** 1 ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 2. კურორტი საქართველოში; 3. სპორტის სახეობა; 4. ჭადრაკის ფიგურა; 6. ტბა საქართველოში; 8. სამი მუსიკოსისაგან შემდგარი ჯგუფი; 9. კურკოვანი ხილი; 11. მწერი; 12. ძველი საბერძნეთის ქალაქი; 14. შვილის შვილი; 16. დროის მაჩვენებელი ხელსაწყო; 22. მინანქარი ანუ? 23. ქართული ხალხური სპორტის სახეობა; 24. ბოსტნეული მცენარე; 27. მტაცებელი ფრინველი; 28. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 29. შავიზღვისპირა კურორტი; 31. „ბურატინოს თავგადასავლის“ გმირი; 33. კონტინენტი; 34. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოს დედაქალაქი.

**თარაზულად:** 5. მასალა, რომელსაც კედლის შესათეთრებლად იყენებენ; 7. ძველებური ტრანსპორტი; 10. ტყის ნაყოფიანი მცენარე; 13. ციმბირის მდინარე; 15. სკანდინავიის ქალაქი; 17. აფრიკის მდინარე; 18. პიონერული ბანაკი ყირიმის ნახევარკუნძულზე; 19. ვოლგის შენაკადი; 20. ქართული ჟურნალი; 21. მტაცებელი ფრინველის ნაშიერი; 24. აზიის სახელმწიფო; 25. ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ტომი; 26. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო; 30. საქართველოს მდინარე; 32. ცნობილი ესპანელი მხატვარი; 34. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი.

შეადგინა
კობა გვენეტაძემ,
თბილისი, 23-ე საშუალო
სკოლა. IX კლასი.

## რამდენი ფოთოლია?



დახატა და შეადგინა ნანა იოსელიანმა

## გამოცანები

მე რომ სურათი ვიხილე,
სასწაულია ნამდვილი:
შეპარულიყო ერთ სახლში
ერთი წითელი ნადირი.
ჯერ ციდა იყო...
იზარდა,
და აქეთ-იქით ხეთქებით
ჯერ იატაკი ალოკა,
მერე კი შთანთქა კედლები.
ჭერს მისწვდა,
ისიც ჩაყლაპა,
სახურავზედაც ავარდა...
ყველაფერი რომ შეჭამა,
სული დალია თავადაც.

●

თუ ბიჭი ხარ,
გამოიცან,
მოლოდინით მიცემს გული:
ჩეხვა, კაფვა, თლა და სწება
არვინ იცის მისებური,
მაგარი ხის ტანი აქვს და
ცხვირი არწივისებური.

●

არც თავი აქვს, არცა ფეხი,
ხახად — მუჭის ტოლა ეხი,
ტანი — მრგვალი,
წელი — ვიწრო,
ვინძლო, უცებ გამოიცნო.

●

ფერდობზე ჩამოგრიალდა
ერთი რამ დევი გრძნეული,
ცასა და მიწას მოარღვევს
მისი ვეება სხეული,
ხეობას ბდღვირი ადინა,
არავის ინდობს წყეული,
შორსა ვარ, მაინც ვცახცახებ,
შევყურებ შიშმორეული.

ნ. მარიხია

●

ბრმამ გაქცეულ ყურცქვიტას
მყისვე თვალი ჰკიდა;
ხოლო კოჭლი იმ კურდღელს
სწრაფად გაეკიდა;
ყრუანჩელას ფეხის ხმა
შემოესმა ცხადად;
შიშველმა კი ჯიბეში
ჩაუძახა ნადავლს.
რაც ახლა ვთქვი, რა ჰქვია?
მიპასუხე მარდად!



●

გამოცანას მოგახსენებ,
ყური კარგად დამიგდე:
ის რომელი ციფრი არის,
დათვლას თავს რომ არიდებს,
თუ რიცხვს მარჯვნივ ამოუდგა,
უცებ ათჯერ ადიდებს?

●

შეხე ერთი, თეთრი ბამბა
სადღაც ზანტად გაცურდა.
ადვილია გამოცანა,
დიდხანს ფიქრი არც უნდა.

●

მუდამ შენს ირგვლივ ვტრიალებ,
მგრძნობ, მაგრამ ვერა მხედავ,
ვერ იარსებებ უჩემოდ,
მე ვარ სიცოცხლის დედა.

## შარადა

შიგ ნაკვერჩხალი ღვივის და
ზედ შამფურები ტრიალებს, —
სამმარცვლიანი სიტყვაა,
პასუხს ნუ დააგვიანებ.
ანბანის ასო მეექვსე
სიტყვის შუაში გჭირდება.
ბუჩქიდან მწიფე ნაყოფი
გიშრისფრად გამობრწყინდება.

შ. ამირანაშვილი

### პასუხი № 12-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

**კროსვორდი**

**თარაზულად:** 1. ათი; 3. პონი; 5. წყარო; 8. ტყე; 10. აპრილი; 11. რიწა; 12. იდეა; 14. წავი; 16. ფრიადოსანი; 19. გრემი; 23. აბზაცი.

**შვეულად:** 2. ინდექსი; 3. პიონერი; 4. იანვარი; 5. წესდება; 6. არგო; 7. ორაგული; 9. ია; 11. რადიანი; 13. არბო; 14. წრე; 15. ისტორია; 16. ფარგალი; 17. სიმღერა; 18. იალქანი; 20. ერი; 21. იერი; 22. ძნა.

**გამოცანები**

ჩიტი, ფიჭვი,
ჭა, ხოჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა
6217/39

# ყურადღება, ყურადღება, ყურადღება!

## ვაცხადებთ ნორჩ შემოქმედთა კონკურსს!

კონკურსი ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს. მისი დევიზია „ოქტომბერი ჩვენს გულებში“. იგი გამიზნულია რესპუბლიკის პიონერ-მოსწავლეთა მხატვრული შემოქმედების შემდგომი განვითარებისა და წარმოჩენისათვის.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ყველა ნორჩ შემოქმედს. შეგიძლიათ წარმოადგინოთ პატარა მოთხრობები, ლექსები, ნახატები, ფოტოსურათები, ჩანახატები (ნახატის ზომა — არანაკლებ 21 × 29 სმ, ფოტოსურათისა — არანაკლებ 13 × 18 სმ), ლითონზე ან ხეზე კვეთის ნამუშევრები, მუსიკალური ნაწარმოებები, ნაქარგები, აპლიკაციები, ნაძერნი, ხელგარჯილობის ბევრი სხვა ნიმუში.

მოწონებული ნამუშევრები გამოქვეყნდება ჟურნალ „პიონერში“.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფასიანი საჩუქრები.

საკონკურსო მასალების წარმოდგენის ბოლო ვადა 1987 წლის 30 სექტემბერია.

ნამუშევრები შეგიძლიათ წარმოადგინოთ პირადად ან გამოგზავნოთ ფოსტით.

შეგახსენებთ ჩვენს მისამართს:
380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14
ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია
„საკონკურსოდ“.

გისურვებთ წარმატებებს და წინასწარ გიხდით მადლობას მონაწილეობისათვის.

ინდექსი 761
ფასი 20 კაპ